პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ორშაბათი, 3 ივნისი 1935 წ.
№ 128 (4284)

დღეს ნომერში

— ჩაის ფრონტზე მორიგ გამარჯვებათა საბრძოლო პროგრამა (მეთაური).
— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი.
— საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლეწვაზე მომუშავე მემანქანეთა და სხვა მუშაკთა შრომისანაზღაურების შესახებ. (მე-2 გ.)
— გარდაიცვალა თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ვასიფ ჩინარი.
— კამათი ინგლისის თემთა პალატაში.
— „იზვესტია" ბუისონის კაბინეტის შესახებ.
— გერმანია და ლიტვა.
— იაპონიის ულტიმატუმი შიდა მონღოლეთის პოლიტიკურ საბჭოს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მიღებული ამხ. ილიუშინის ინფორმაციის გამო ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის მეცხოველეობის განვითარებისათვის სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დადების შესახებ

1. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას მეცხოველეობის განვითარების შესახებ დადებული შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებისათვის.

2. პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანოებს და ყველა კოლმეურნეობას მოაწყონ მუშაობა მეცხოველეობის აღმავლობისათვის ისე, რომ გადაჭარბებით შეასრულონ ჩრდილოეთ კავკასიასთან დადებული ხელშეკრულების მაჩვენებლები და გამარჯვებული გამოვიდნენ სოცშეჯიბრებაში.

ჩაის ფრონტზე მორიგ გამარჯვებათა საბრძოლო პროგრამა

უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ძვრები მოხდა. მნიშვნელოვნად გამტკიცდა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობანი, გაიზარდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების, როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ბერკეტების, როლი და გავლენა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებამ, გლეხთა საკითხში ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების ბოლომდე გამოსწორებამ და გლეხობისადმი სწორ პოლიტიკური ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო უდიდესი გამარჯვების მოპოვება სოფლის მეურნეობის განვითარების ყველა სფეროში

ამ ფონზე ყველაზე უფრო რელიეფურად მოსჩანს ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარებაში. ყველაზე სწრაფად იცვლება დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული რუქა. იქ, სადაც საუკუნეებრივი ჭაობის, უქმურისა და ავი მალარიის საბუდარი იყო, აყვავებას იწყებს სუბტროპიკული ხეხილის ბაღნარი. ბოლო ეღება კოლხეთის დაბლობის შმორს, აჭარისტანიდან ორპირამდე, პალიასტომის ნაპირებიდან ვიდრე აფხაზეთამდე გაშლილია გრანდიოზული მუშაობა დაჭაობებული კოლხეთის ამოსაშრობად. სულ მალე აქ ჭაობი სავსებით დაძლეული იქნება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩაის კულტურის დანერგვა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. დიდიხანია ჩაი ჩვენში გამოვიდა დეკორატიული იშვიათობის კოლექციიდან, ჩაი ამჟამად არის დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის **წამყვანი დარგი.**

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ჩაის კულტურის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ რომელიც „კომუნისტში" დღეს ქვეყნდება, წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტს. ეს დადგენილება ჯამს უკეთებს ჩაის კულტურის განვითარების დარგში 1934 წლიდან ჩატარებულ მუშაობას და, როგორც მუშაობის გაშლილი საბრძოლო პროგრამა, სახავს ახალ, გარკვეულ, კონკრეტულ გზებს ამ ძვირფასი კულტურის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საკმარისია სულ რამოდენიმე ციფრის დასახელება, რომ ნათელი გახდეს ჩაის ფრონტზე უკანასკნელ 3-4 წლის განმავლობაში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი: 1931 წელს ჩაის პლანტაციის ფართობი არ აღემატებოდა 18 ათას ჰექტარს, ახლა პლანტაციები 34 ათას ჰექტარზე მეტია. 1931 წელს მოკრეფილი იყო 1.200.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, წელს კი უნდა მოიკრიფოს 12.300000 კილოგრამი. 3 წლის წინად ჰექტარზე საშუალოდ ჩვენ მოვკრიფეთ 701 კილოგრამი ჩაი, წელს კი იკრიფება 1400 კილოგრამი. 3 წლის წინად გამოშვებული იქნა ჩაის მზა პროდუქცია 362 ათასი კილოგრამის რაოდენობით, წელს გამოშვებული იქნება 3.166 ათასი კილოგრამი.

ეს მიღწევები შედეგია იმ განსაკუთრებული ყურადღების და მზრუნველობის, რომელსაც ჩაის კულტურისა და მრეწველობის განვითარებისადმი იჩენს საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. ლ. ბერია.

დასავლეთ საქართველოს რაიონების პარტიული ორგანიზაციები ნამდვილად მობრუნდნენ პირით ჩაისაკენ, წარმატებით ეუფლებიან ამ კულტურას და მთელი პასუხისმგებლობით იბრძვიან იმ საბრძოლო ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც ჯერ კიდევ 1931 წელს საქართველოს პარტორგანიზაციას დაუსახა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი თუ ვიტყოდით, რომ ჩაის კულტურისა და წარმოების დაუფლების საქმეში თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ნაკლი ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია და ამაზე სავსებით სამართლიანად მიუთითებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცხადია, მიღწეულ წარმატებების გამო არავითარ დამშვიდებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. საჭიროა მთელი ძალების დაჭიმვა, რათა მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების გზით მიღწეულ იქნას ახალი სერიოზული წინსვლა ჩაის კულტურის დაუფლების ყველა დარგში.

ამის ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს ამჟამად ჩაის რაიონებს: პირველხარისხოვანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საიმედო ფინანსიური, ტექნიკური და სამრეწველო ბაზა, ჩაის ფოთლის დასამზადებელი ფასების გადიდება, გამაგრება-განმტკიცების გზაზე მტკიცედ შემდგარი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები, წარჩინებულ ადამიანთა, სპეციალისტთა ახალი კადრები და მთელი რიგი წლების განმავლობაში დაგროვილი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, — აი ყველა ის წინაპირობა, რომელიც მოგვეპოვება და რომელთა ნაყოფიერად გამოყენებამაც უნდა უზრუნველყოს ჩაის კულტურის შემდგომი განვითარება.

იმ ნაკლთა შორის, რომელიც ჩაის მეურნეობის დარგშია შემჩნეული, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს ფინანსიური მეურნეობის უხეიროდ დაყენებას ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, აგროტექნიკური ღონისძიებათა არათანამიმდევრობით გატარებას, ზოგგან პლანტაციების ცუდათ მოვლას, საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის არასაკმაო ტემპებს საბჭოთა მეურნეობებში და ამის გამო მუშათა დენადობას, შრომის დისციპლინის სისუსტეს ჩაის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ჩაის მოსავლიანობის სისტემატიურად გადიდების ამოცანა ჩვენგან მოითხოვს ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებას. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ **კადრების აღზრდის, გამოვლინებისა და დაწინაურების საქმეს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ჩაის ტექნიკასა და აგროტექნიკას.** პარტია მოითხოვს ამ კადრებზე გულშემატკივრულ მზრუნველობას და იმას, რომ მათ ჩაის მეურნეობებში ჰქონდეთ ნორმალური მუშაობის ყველა პირობა.

ჩაის დარგში მორიგ საბრძოლო ამოცანების შესახებ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას **რაიონებმა უნდა უპასუხონ საქმით, მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით, ჩაის სამუშაოთა გეგმების ვადაზე შესრულებით და ბოლშევიკური მუშაობის გაშლით ჩაის კრეფის დასაჩქარებლად. ამ მუშაობამ უპირველეს ყოვლისა ჩვენ შედეგად უნდა მოგვცეს ივნისში ჩაის კრეფის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება და ამრიგად მაისის დანაკლისის მთლიანად შევსება.**

ჩაი

ფოთლის კრეფა 1 ივნისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

რაიონები	მოკრეფილია კილოგრ.	მაისის გეგმის შესრულ. პროცენტ.
ბათუმის	85.658	87,4
ქობულეთის	369.650	82
გალის	157.333	96,8
ოჩემჩირის	42.851	94,1
მახარაძის	462.024	56,8
ჩოხატაურის	70.760	71,4
ლანჩხუთის	320.997	82,7
სამტრედიის	5.138	93,4
ხონის	4.640	154,6
ტყიბულის	8.567	100.7
სენაკის	39.990	44,4
მარტვილის	59.763	78,2
ზუგდიდის	241.732	91,1
წალენჯიხის	38.933	44,4
ჩხოროწყუს	34.463	95,9
ხობის	10.610	64,3
აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	32.811	96,5
სულ საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში	1.985.920	74,4

ნიგვზიანის ამხ. ლ. ბერიას სახ. ჩაის ფაბრიკამ შეასრულა მაისის გეგმა

სოფ. ნიგვზიანის (ლანჩხუთის რაიონი) ამხ. ლ. ბერიას სახ. ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა 30 მაისისათვის მთლიანად შევასრულეთ მწვანე ფოთლის დამზადების მაისის გეგმა.

ვადაზე ადრე (24 მაისს) ჩავაბარეთ „ცენტროსოიუზს" ერთი ვაგონი ჩაის მზა პროდუქცია.

მზა პროდუქციის გამოშვებისას მტკიცედ იქნა დაცული ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მესამე ხარისხის პროდუქცია არ გამოგვიშვია.

მეორე ვაგონი ჩაი „ცენტროსოიუზს" ჩავაბარებთ 6 ივნისს.

ფაბრიკის დირექტორი
გ. ხულაბერიძე.

საქართველოს ჩაის მეურნეობის მდგომარეობის და მისი შემდგომი განვითარების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

I

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, განუხრელად ახორციელებდნენ რა [illegible] საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ გადაწყვეტილებას და ივსებდნენ პარტიის ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის პირად მითითებებს იმის შესახებ, რომ „მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ", უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე, ჩაის მეურნეობაში წინათ დაშვებული დიდი პოლიტიკური და სამეურნეო შეცდომების გამოსწორების საფუძველზე, მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ამ დარგის საგრძნობ აღმავლობას და განვითარებას.

ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი ყველა სექტორში აყვანილია 34 ათას ჰექტარამდე იმ დროს, როცა 1931 წელს ეს ფართობი 18 ათას ჰექტარს უდრიდა. ამავე პერიოდში აღდგენილია 3.769 ჰექტარი და კაპიტალურად შეკეთებულია 17.649 ჰექტარი ჩაის პლანტაციები.

მოკრეფილი მწვანე ჩაის ფოთოლი მიმდინარე წელს უნდა შეადგენდეს სულ 12,3 მილიონ კილოგრამს, ნაცვლად 1,2 მილიონი კილოგრამისა 1931 წელს და 6,6 მილიონი კილოგრამისა 1934 წელს.

ჩაის პლანტაციების საერთო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 1932 წლის 701 კილოგრამიდან 1934 წელს გაიზარდა 1.220 კილოგრამამდე, ხოლო მიმდინარე წელს უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 1.400 კილოგრამისა.

ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება 1932 წლის 362 ათასი კილოგრამიდან 1934 წელს გაიზარდა 1.960 ათასი კილოგრამამდე, ხოლო მიმდინარე წელს იგი 3.166 ათას კილოგრამს უნდა უდრიდეს.

ამასთან დაკავშირებით ყოველწლიურად მატულობს საბჭოთა ჩაის ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირში ჩაის საერთო მოხმარების ბალანსში.

საკოლმეურნეო ჩაის პლანტაციები უკვე აქვს 830 კოლმეურნეობას, რომლებიც აერთიანებენ 64 ათასზე მეტს გლეხურ მეურნეობას.

მარტო სამი გასული წლის მანძილზე ჩაის რაიონებში მოწყობილია 11 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგური, სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობათა ჩაის მეურნეობებში დაბანდებულია 23 მილიონი მანეთი და დასაქონლიანების წესით ჩაის რაიონებში შეტანილია 5 მილიონზე მეტი ფუთი პური.

იმის გამო, რომ გადიდდა მწვანე ფოთლის დასამზადებელი ფასები 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე კილოგრამზე და ერთი ჰექტარი პლანტაციის საწარმოო დაკრედიტების ოდენობა 920-დან 10 ათას მანეთამდე, დასავლეთ საქართველოს რაიონების ჩაის მეურნეობანი სახელმწიფოსაგან მარტო მიმდინარე წელს მიიღებენ 57 მილიონ მანეთზე მეტს ფულად, აქედან ჩაის ფოთლის რეალიზაციიდან 27 მილიონ მანეთს.

პარტიისა და მთავრობის ყველა ამ ღონისძიებებმა უზრუნველყვეს საქართველოს ჩაის რაიონების კოლმეურნე მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის საგრძნობი ამაღლება. ამხ. სტალინის ლოზუნგი: „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეები შეძლებულებად" წარმატებით ხორციელდება.

მტკიცდებიან ჩაის საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებმაც 1934 წელს და მიმდინარე წელს მთელი რიგი თავისი ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით (მწვანე ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარიდან, ბუჩქის [illegible]) უკეთ წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს ჩაის მეურნეობაში.

გაიზარდა ჩაის ფაბრიკების რიცხვი. მარტო 1934—1935 წლის განმავლობაში ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე გაფართოვდა ისეთი ოდენობით, რომელიც უდრის ჩაის მრეწველობის არსებობის მთელი დროის განმავლობაში აშენებული ყველა ფაბრიკის სიმძლავრეს.

მარტო ამ ღონისძიებებისათვის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასა და ჩაის მრეწველობაში სახელმწიფოს მიერ დაბანდებულია 165 მილიონ მანეთზე მეტი.

უმჯობესდება სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობაც ჩაის მეურნეობის დარგში.

ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში გაიზარდენ დირექტორთა, აგრონომთა, აგროტექნიკოსთა, ტექნოლოგთა, ბრიგადირთა, ჩაის საქმის დამკვრელ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა კადრები, რომლებიც სულ უფრო მეტად და უკეთ ეუფლებიან ჩაის მეურნეობის ტექნიკას.

II

ამ წარმატებებთან ერთად, ჩაის მეურნეობის განვითარების და განმტკიცების დარგში ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს;

საბჭოთა მეურნეობების ფინანსიური მეურნეობა აშკარა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საბჭოთა მეურნეობებმა გასული წელი დაამთავრეს სახსრების დიდი გადახარჯვით, მათი დაფინანსების გეგმებით დაწესებულ ხარჯებთან შედარებით.

აგროტექნიკური ღონისძიებანი მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ არასაკმაოდ სრულდება. (გალის, ჩოხატაურის, წალენჯიხის რაიონები, აჩიგვარის და ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობები).

ყოველი ცალკე ჩაის ბუჩქის მოვლა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული. არათანაბრად, აგრეთვე ცალკეული პლანტაციების და ჩაის ბუჩქების მდგომარეობის გაუთვალისწინებლად შეაქვთ მინერალური სასუქი და ცუდად ახმარებენ ნიადაგს, უზრუნველყოფილი არ არის სადრენაჟო თხრილების სიხშირე და სიღრმე. პლანტაციების უმრავლესობა კვლავ არ არის უზრუნველყოფილი ქარსაცავი ზოლებით. დაცული არ არის პლანტაციების საზამთრო გადაბარვის სიღრმე და ამ მუშაობას მუდამ როდი სდევს თან ამოძირკვა, კერძოდ კასრას სარეველა ბალახების ამოძირკვა. დაწესებულ ვადებთან შედარებით დაგვიანებით ტარდება პლანტაციების გათოხნაც. შეთხელებული პლანტაციების რემონტის ხარისხი არ დგას აგროტექნიკის მოთხოვნების სიმაღლეზე.

საბჭოთა მეურნეობებში საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ტემპები ჩამორჩება მათი მოსახლეობის ზრდას, ხოლო მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების საცხოვრებელი სადგომების არსებული ფონდი სანიტარულ ჰიგიენური მხრით კვლავ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ჯერ კიდევ ჩამორჩენილია ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშათა მომარაგებაც.

ეს ნაკლოვანებანი საბინაო - საყოფაცხოვრებო მშენებლობის და მუშათა მომარაგების დარგში, აგრეთვე ჯერ კიდევ არასაკმაოდ გაშლილი მასობრივ - პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა საბჭოთა მეურნეობებში ხელს უწყობენ კადრების დენადობას, რაც დღემდე სავსებით არ არის აღმოფხვრილი.

ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ათვისებული, დანაკარგებთან ბრძოლის თვალსაზრისით, ჩაის ფაბრიკების მოწყობილობა. ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი ფაბრიკებისათვის წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები.

ჩაის ფაბრიკებთან და მიმღებ პუნქტებთან მისასვლელი გზების მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის სწრაფად მიტანას ფაბრიკებში. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა მუშახელის დანაკარგებთან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის და შრომის დისციპლინის განმტკიცების გზით.

ყველა საბჭოთა მეურნეობაში როდია გამომუშავების დიფერენცირებული ნორმები პლანტაციების ცალკეული ნაკვეთების მიხედვით, ხოლო მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეები სამუშაოზე გვიან გამოდიან, რითაც ამცირებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის საწარმოო შესაძლებლობას.

კოლმეურნეობებში არასაკმაოდ სრულდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებანი ჩაის პლანტაციებზე კულტივაციის ფართოდ დანერგვის შესახებ.

კოლმეურნეობათა გამგეობანი ცუდად ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-16 მუხლს, რომელიც გულისხმობს ჩაის ფოთლის რეალიზაციიდან შემოსული მთელი თანხების 60 პროცენტის განაწილებას კოლმეურნეთა შრომადღეების მიხედვით კვირაში ერთხელ მაინც.

III

პლენუმი საჭიროდ სთვლის ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში განხორციელებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

1 დაევალოს საქართველოს მიწსახკომს, „საქართველოს ჩაის", ტრესტ საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და ჩაის რაიონების ყველა პარტორგანიზაციას მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ აღმოფხვრან ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი ჩაის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში.

2 იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1937 წელს ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა სრულასაკიანი პლანტაციის ერთი ჰექტარიდან არა ნაკლებ 1.800 კილოგრამისა, ჩატარდეს შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებანი:

ა) ყოველწლიურად იქნას შეტანილი მინერალური სასუქი პლანტაციების მთელ ფართობზე, დაწყებული გაშენების პირველივე წლიდან, გარდა იმ ფართობებისა, რომელთა განოყიერება ხდება ორგანიული სასუქით და შლამით;

ბ) უზრუნველყოფილ იქნას ორგანიული სასუქის (კომპოსტის, ტორფის, ნაკელის) და მდინარის შლამის ყოველწლიურად შეტანა ჩაის პლანტაციების ფართობების ერთმეხუთედზე მინერალურ სასუქთან შენაცვლებით;

გ) მიმდინარე წლის შემოდგომის და 1936 წლის გაზაფხულის განმავლობაში დამთავრდეს ყველა ჩაის პლანტაციების რემონტი;

დ) 1937 წლის დამლევისათვის დამთავრდეს ქარსაცავი ნარგავების მოწყობა და უზრუნველყოფილ იქნას ისინი ნერგებით საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საკუთარი სანერგეებიდან;

ე) არა უგვიანეს 1937 წლისა უზრუნველყოფილ იქნას ჩაის ყველა პლანტაციები სადრენაჟო ქსელით და საჭირო ღონისძიებებით ნიადაგის ჩამორეცხვის წინააღმდეგ;

ვ) ჩატარდეს ბრძოლა კასრას წინააღმდეგ და დამთავრდეს მუშაობა ამ სარეველა ბალახის ლიკვიდაციისათვის ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში 1936 წელს;

ზ) გაძლიერდეს პროფილაქტიკა და ბრძოლა ჩაის ბუჩქის მავნებლების და დაავადების წინააღმდეგ, ამასთან ერთად საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფილ იქნან საჭირო შხამით და უახლესი აპარატურით;

თ) მოეწყოს, როგორც ფართო საწარმოო ცდა, ჩაის ფოთლის მოკრეფა იაპონური მაკრატლებით;

ი) უკვე 1936 წელს ჩაის პლანტაციები დამუშავდეს ცხენის კულტივაციით 75 პროცენტამდე საბჭოთა მეურნეობებში და 50 პროცენტამდე კოლმეურნეობებში;

კ) განახლდეს 1936 წელს ტორფის დამუშავება ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამასთან ერთად მოეწყოს ტორფის დამუშავება საკოლმეურნეო პლანტაციებისთვისაც.

3 გაშენებულ იქნას 1936 წელს ახალი პლანტაციები 4.000 ჰექტარზე და 1937 წელს კიდევ 4.000 ჰექტარზე, აქედან კოლხიდის რაიონებში, რომლებიც დაშრობითი მელიორაციიდან არიან გამოსული, 1.000 ჰექტარზე.

დაევალოს საქართველოს მიწსახკომს დაუყოვნებლივ მოაწყოს მუშაობა ნაკვეთების ამოსარჩევად და ამ გეგმის დასაყვანად კოლმეურნეობებამდე, დაამთავროს ეს მუშაობა არა უგვიანეს 1935 წლის 1 სექტემბრისა იმ ანგარიშით, რომ უკვე მიმდინარე წლის შემოდგომიდან დაწყებულ იქნას ნიადაგის მომზადება ჩაისათვის.

4 დაევალოს საკავშირო ტრესტ „საქართველოს ჩაის" დააწესოს უსასტიკესი საფინანსო დისციპლინა როგორც ტრესტის მუშაობაში, ისე საბჭოთა მეურნეობებშიც. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა უშუალოდ პირადად იმუშაონ ფინანსების საკითხებზე, მთელი თავისი ხარჯები, შტატები და ხელფასის ფონდები ჩაატიონ მათთვის დაწესებულ ხარჯთაღრიცხვებში, არ დაუშვან არავითარი გადახარჯვა და მიაღწიონ სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

შემოღებულ იქნას ისეთი წესი, როდესაც იმ საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ჩაის პროდუქციის ჩაბარების მათთვის დაწესებულ გეგმებს და სამრეწველო - საფინანსო გეგმის საშემოსავლო ნაწილს, რჩება შემოსავლის გადაჭარბებით შესრულებული ნაწილის 50 პროცენტი მუშათა და აგროტექნიკური პერსონალის კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საკავშირო ტრესტ „საქართველოს ჩაის" და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ამოცანად დაესახოს მშენებლობის თვითღირებულების და პროდუქციის ღირებულების გადაჭრით შემცირება, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ შექმნან საბჭოთა მეურნეობების შინადაგროვებანი და უახლოეს წლებში უზრუნველჰყონ თავიანთი მეურნეობის რენტაბელურად წარმოება.

5 ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების მუშათა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და იქ მუდმივი კადრების შესაქმნელად, დაევალოს სრ. საკ. ტრესტ „საქართველოს ჩაის" და ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების დირექტორებს გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გაშალონ საბჭოთა მეურნეობებში მუშათა ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ისეთი ანგარიშით, რომ მათში არ ჩაასახლონ 2—3 ოჯახზე მეტი და შეუნარჩუნონ თვითეულ მუშას მისთვის გადაცემული ბინა;

ბ) გამოუყონ და შეუნარჩუნონ კადრის მუშებს პატარა ნაკვეთები საბოსტნედ და 15-დან 20-მდე ციტრუსის და ხეხილის გასაშენებლად და მისცენ მათ დასარგავად საჭირო ნერგი;

გ) შეაკეთონ და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაში მოიყვანონ მუშათა საერთო საცხოვრებლები, ამასთან უზრუნველყონ ისინი ლოგინით და მთელი აუცილებელი ინვენტარით;

დ) მუშათა მომარაგების და კვების საქმის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად მოეწყოს მუშათა მომარაგების განყოფილებანი საბჭოთა მეურნეობებთან;

ე) გააიაფონ და გააუმჯობესონ სადილების ხარისხი საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების სასადილოებში;

ვ) გაამწვანონ საბჭოთა მეურნეობების და მუშათა უბნების კარმიდამოები, პირველ რიგში ხეხილით.

6 გადიდდეს შრომის ნაყოფიერება საბჭოთა მეურნეობებში, რისთვისაც გადაისინჯოს შრომის ანაზღაურების მოქმედი სისტემა ხელფასის დამტკიცებული ფონდების ფარგლებში, დაწესდეს გამომუშავების დიფერენცირებული ნორმები ცალკეულ უბნების მიხედვით; ბრიგადების შიგნით მიმაგრებულ იქნან ცალკეულ მუშებსა და მუშათა ჯგუფებზე კონკრეტული უბნები, მოწესრიგდეს ხელფასის აღრიცხვა ანგარიშგასწორება და გაცემა ვადაზე, ამასთან განუხრელად განმტკიცდეს შრომის დისციპლინა.

7 დაევალოს ტრესტ „საქართველოს ჩაის" მიიღოს შემდგომი ზომები საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად (გაადიდოს ავტომანქანების პარკი, გააუმჯობესოს სარემონტო სახელოსნოები, გააფართოვოს საგზაო მშენებლობა და სხვ.), რამაც უნდა უზრუნველყოს ც. კ-ის პლენუმის ამ გადაწყვეტილებით დაწესებული ყველა აგროღონისძიების შესრულება.

8 ხელახლა შეიარაღდეს უკვე 1936 წელს ჩაის რაიონების მტს-ის პარკი იმგვარად, რათა, სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა, მათ შორის სხვა კულტურების ხაზითაც, მექანიზაციის დონის მაქსიმალურად აწევით, უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა დამატებითი მუშახელის განთავისუფლება ჩაის კულტურის საჭიროებებისათვის.

9 მთლიანად შესრულდეს ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის სათანადო მითითებანი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და დაგეგმვის შესახებ, კერძოდ წარმოებაში ქალთა და მოზარდთა მეტი რაოდენობის ჩაბმით, გაცდენებთან ბრძოლით და შრომის დისციპლინის განმტკიცებით კოლმეურნეობებში.

10 მოწესრიგდეს ჩაის კოლმეურნეობებში ფინანსიური მეურნეობა, რისთვისაც პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას განუხრელად გატარება სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-16 პუნქტისა, იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებში, რომლებიც ტექნიკურ კულტურათა თესვას მისდევენ, არტელს წევრს ფულადი შემოსავალი ეძლევა სახელმწიფოსათვის მთელი ჩაის ფოთლის ჩაბარების დამთავრების დაუცდელად, ჩაბარების მიხედვით, ერთხელ მაინც კვირაში, იმ ფულის 60 პროცენტის ოდენობით, რომელსაც არტელი ჩაბარებული პროდუქციისათვის ღებულობს.

IV

11 დამთავრდეს 1936 წლის 1 თებერვლისათვის ყველა იმ 7 ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, რომელთა აგებაც ახლა წარმოებს, და არა უგვიანეს 1936 წლის 1 აპრილისა— 7 მომქმედი ჩაის ფაბრიკის გაფართოება, ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას მათთან გეგმით გათვალისწინებულ საბინაო, კომუნალურ და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა.

12 შემოღებულ იქნას არა უგვიანეს 1936 წლის 1 იანვრისა ახალი ფაბრიკებისათვის და მომქმედი ფაბრიკების გასაფართოებლად აუცილებელი მთელი საწარმოო ელექტრომექანიკური და ძალოვანი მოწყობილობა, ამასთან არა უგვიანეს 1936 წლის 1 აპრილისა უზრუნველყოფილ იქნას მანქანების და მოწყობილობის მონტაჟი და გამოცდა.

13 აიგოს და მოეწყოს 1936-37 წლებში ოთხი სამონტაჟო სახელოსნო ჩაის ფაბრიკებისათვის მომსახურების გასაწევად.

14 დაიწყოს მიმდინარე წელსვე ჩაის ამწონ—დამხარისხებელი ფაბრიკის მშენებლობა ტფილისში იმ ანგარიშით, რომ მშენებლობა დამთავრდეს 1936 წლის დასასრულისათვის.

15 გაიშალოს 1936 წლიდან წყალსადენების მშენებლობა ჩაის ფაბრიკებში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ჩაის ფაბრიკები ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობითაც.

16 დაინერგოს ფაბრიკებში ჩაის ფოთლის ხელოვნური ჭკნობის ის მეთოდები, რომლებიც პრაქტიკაში შემოწმებულია (შენგერის და მარდალეიშვილის), აგრეთვე ჩაის ფერმენტაცია და დახარისხება.

17 უზრუნველყოფილ იქნას 1936 წელს სპეციალურ ნაგებობათა მშენებლობა ჩაის მიმღები პუნქტებისათვის და მათი ტელეფონიზაცია, ამასთან ისინი აგებულ იქნან ჩაის ფაბრიკათა მოქმედების ზუსტად განსაზღვრულ რადიუსში.

18 1936 წლის სეზონისათვის დაკავშირებულ იქნას ჩაის ყველა ფაბრიკა მისაღებ პუნქტებთან კარგი და ავტოტრანსპორტისათვის ყოველდროს გასავლელი გზებით.

19 მიღებულ იქნას ზომები ჩაის ფაბრიკების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემოღებულ იქნას ისეთი წესი, რომლის დროსაც მიღწეული იქნება ზედმიწევნით სისუფთავე ჩაის ფაბრიკების ყველა საამქროში, ხოლო მომსახურე პერსონალი მომარაგებული იქნება სათანადო სპეცტანისამოსით და სპეც-ფეხსაცმელით.

20 იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაის მეურნეობის ხელმძღვანელობის ამოცანები გართულდა (მარტო ჩაის ფაბრიკები, ახლა მშენებლობაში მყოფ ფაბრიკების გამოკლებით, არის 27, ხოლო საბჭოთა მეურნეობები—15), მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქ. ტრესტის—„საქ. ჩაის" გაყოფა ორ დამოუკიდებელ ტრესტად: 1) ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და 2) ჩაის მრეწველობის ტრესტი.

V

21 დამთავრდეს 1936 წელს ჩაის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების აგროქიმიური რუკის შედგენა.

22 ა.-წ. 1 სექტემბრისათვის შეჯამებულ იქნას ჩაის ამკრეფი მანქანების და მწვანე ფოთლის დახარისხების სამეურნეო-ეკონომიური ეფექტიურობის გამოცდის შედეგები.

23 დაიწყოს მიმდინარე წელსვე ჩაის საცდელი ფაბრიკის აგება ჩაის ტექნოლოგიის დარგში საგამომკვლევო სამუშაოთა დასაყენებლად.

24 გაძლიერდეს მუშაობა სამეცნიერო და მასობრივი ლიტერატურის გამოსაცემად ჩაის დარგში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ჩაის მეურნეობის სრულიად - საკავშირო სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტი საკუთარი პოლიგრაფიული ბაზით.

25 ჩაის მეურნეობის სრულიად - საკავშირო სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის წინაშე დაისვას ამოცანა—ფართოდ დანერგოს კოლმეურნეობათა პრაქტიკაში ჩაის პლანტაციების მოვლის მეთოდები, რომლებიც ინსტიტუტის მიერ მეცნიერულად დამუშავებულია, და დარაზმოს ჩაის საქმის მცდელთა აქტივი საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებში.

VI

26 აღნიშნავს რა სერიოზულ ჩამორჩენას ჩაის ფოთლის მოკრეფის მაისის გეგმის შესრულებაში, პლენუმი ავალებს ჩაის რაიონთა პარტორგანიზაციებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს, აგრეთვე ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს იმგვარად მოაწყონ მუშაობა ფოთლის მოსაკრეფად, რათა ივნისში შეავსონ მაისის გეგმის მთელი დანაკლისი, უზრუნველჰყონ შემდეგში ფოთლის მოკრეფის დაწესებული გეგმების თვით-თვე შესრულება და არ დაუშვან მოსაკრეფი ფოთლის ხარისხის გაუარესება.

VII

პლენუმი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ორგანიზაციული მუშაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე აყვანის და იდეურ - პოლიტიკური აღზრდის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, კიდევ უფრო გააძლიერონ კომუნისტების სიფხიზლე ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებისათვის კლასობრივი მტრების მხრივ წინააღმდეგობის გაწევის სულ მცირე გამოხატულების წინააღმდეგ.

ჩვენი პარტიის ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის ლოზუნგი „კადრები წყვეტენ ყველაფერს" ავალებს ყველა ხელმძღვანელ მუშაკს, პარტიულს და უპარტიოს, გააძლიერონ ყურადღება კადრებისადმი, გამოზარდონ და აღზარდონ ისინი.

აუცილებელია, რათა 1935 წლის განმავლობაში ჩაის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მტს-ის და ფაბრიკების ყველა ხელმძღვანელმა კადრებმა ჩააბარონ ტექგამოცდა ჩაის ტექნოლოგიის და კულტურის დარგში.

თვალსაჩინოდ უნდა გაძლიერდეს მუშაობა ხელმძღვანელ პოსტებზე მზარდი ადამიანების დასაწინაურებლად ჩაის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მტს-ის და ფაბრიკების ორდენოსანთა და დამკვრელთა რიცხვიდან.

პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, გადააქცევენ რა საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს სუბტროპიკული მეურნეობის მაღალმოსავლიან და მაღალრენტაბელურ, კულტურულ და აყვავებულ კერებად, მიაღწევენ უფრო მეტ წარმატებებს ჩაის დარგში საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში.

ლეწვაზე მომუშავე მემანქანეთა და სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

1. დაწესდეს შრომის ანაზღაურების შემდეგი ოდენობა და ჯილდოს შემდეგი ოდენობა მ. კ. — 1100 ხალეწ მანქანებზე მომუშავე მემანქანეებისათვის:

ა) მემანქანე, რომელმაც მთელი დღის განმავლობაში 10-დე ტონა გალეწა, მტს-საგან ან საბჭოთა მეურნეობისაგან მის მიერ გალეწილ თვითეულ ტონა მარცვალში ღებულობს ერთ მანეთს ფულად და 600 გრამ მარცვალს უფასოდ.

ბ) მემანქანე, რომელმაც მთელი დღის განმავლობაში 10 ტონაზე მეტი გალეწა, მის მიერ 10 ტონის ზევით გალეწილ თვითეულ ტონაში ღებულობს **ჯილდო — წანამატს** 50 კაპეიკს ფულად და 250 გრ. მარცვალს უფასოდ მის ძირითადი სანარდო შეფასების დამატებით;

გ) მემანქანე, რომელმაც **ლეწვის მთელი სეზონის განმავლობაში 400 ტონაზე მეტი გალეწა, ღებულობს დამატებითს ჯილდო — წანამატს** 50 კაპეიკს ფულად და 250 გრამ მარცვალს უფასოდ 400 ტონის ზევით მის მიერ გალეწილ თვითეულ ტონაში, თუ ეს 400 ტონა მის მიერ გალეწილია 60 კალენდარულ დღეზე უფრო ნაკლებ ვადაში.

2. დაწესდეს შრომის ანაზღაურების შემდეგი ოდენობა და ჯილდოს შემდეგი ოდენობა მ. ო.—900 და ბ. დ. ო —34 **ხალეწ მანქანებზე მომუშავე მემანქანეებისათვის:**

ა) მემანქანე, რომელმაც **მთელი დღის განმავლობაში 6 ტონამდე** გალეწა, მტს-ისაგან ან საბჭოთა მეურნეობისაგან ღებულობს მის მიერ გალეწილ თვითეულ ტონა მარცვალში 1 მან. და 30 კაპ. ფულად და 600 გრამ მარცვალს უფასოდ.

ბ) მემანქანე, რომელმაც მთელი დღის განმავლობაში 6 ტონაზე მეტი გალეწა მის მიერ 6 ტონის ზევით გალეწილ თვითეულ ტონაში ღებულობს **ჯილდო - წანამატს** 65 კაპ. ფულად და 250 გრამ მარცვალს უფასოდ მისი ძირითადი სანარდო შეფასების დამატებით;

გ) მემანქანე, რომელმაც **ლეწვის მთელი სეზონის განმავლობაში 250 ტონაზე მეტი გალეწა,** ღებულობს დამატებითს **ჯილდო წანამატს** 65 კაპ. ფულად და 250 გრამ მარცვალს უფასოდ მის მიერ 250-ზე ზევით გალეწილ თვითეულ ტონაში, თუ ეს 250 ტონა გალეწილ იქნა 60 კალენდარულ დღეზე ნაკლებ ვადაში.

3. გარდა ამისა, **უდანაკარგოდ გალეწვისათვის,** კარგად გალეწვისა და კარგად გაწმენდისათვის მემანქანე ღებულობს **განსაკუთრებულ ჯილდოს** შემდეგი ოდენობით:

ა) მტს-ის მემანქანე მის მიერ მომსახურებაგაწეულ კოლმეურნეობისაგან ათ მეასედ შრომა-დღეს მის მიერ გალეწილ თვითეულ ტონაში:

ბ) საბჭოთა მეურნეობის მემანქანე — საბჭოთა მეურნეობისაგან სულ 100 მანეთამდე ფულად გალეწვის დამთავრების შემდეგ.

4. დაწესდეს, რომ სალეწი მანქანის მემანქანე არის **სალეწი აგრეგატის უფროსი** და მას ემორჩილება ყველა, ვინც კი სალეწ მანქანასა და ძრავზე მუშაობს.

5. დაწესდეს მტს-ის **სალეწ მანქანებზე მომუშავე მწონავებისათვის** შრომის ანაზღაურება მტს-საგან 200 მანეთი თვეში და, გარდა ამისა, ჯილდო 100 მანეთი და 40 კილოგრამი მარცვალი თვეში მთელი გალეწილი მარცვლის წესიერად და მთლიანად აწონვისათვის.

6. დაევალოთ მტს-ის და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მისცენ მემანქანეებს და მწონავებს ხელფასი ორჯერ თვეში 5 და 20 რიცხვს.

7. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს დააწესონ ლეწვაზე მომუშავე კოლმეურნეებისათვის, აგრეთვე ლეწვაზე მომუშავე ტრაქტორისტებისა და მოტორისტებისათვის შრომის ანაზღაურება გალეწილი მარცვლის თვითეულ ტონაში 8 მეასედიდან 22 მეასედამდე შრომა-დღე, მუშაკის კვალიფიკაციის და სამუშაოს სიძნელის მიხედვით, მათ შორის 22 მეასედი შრომა-დღე სალეწი მანქანის მომსახურე ტრაქტორის ტრაქტორისტისათვის სალეწი მანქანის მომსახურე ნავთძრავის მოტორისტისათვის და მედოლისათვის.

რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს სალეწი მანქანის მიერ გამომუშავების დღიური ნორმის გადაჭარბებით შესრულების დროს მისცენ სალეწ მანქანაზე მომუშავე კოლმეურნეებს ჯილდო მათი სანარდო შეფასების 50 პროცენტამდე.

⁂

სსრ კ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი წინადადებას აძლევენ ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციას, მ.ტ.ს-ის და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ ამ დადგენილების საფუძველზე სალეწი მანქანების მუშაობის ნამდვილი გაუმჯობესება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1935 წ. 2 ივნისი.

გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში

მოსკოვი, 2 ივნისი. 1935 წლის 2 ივნისს, დილის 8 საათსა და 40 წუთზე, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კრემლის საავადმყოფოში გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი **ვასიფ ჩინარი.** (სდს).

⁂

სსრ კავშირში თურქეთის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის უდროოდ გარდაცვალებამ აღელვა და დაამწუხრა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

მეგობრული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის პასუხსაგებ პოსტზე ორგზის ყოფნის დროს განსვენებულმა საყოველთაო პატივისცემა და სიმპატია დაიმსახურა. ყველას, ვისაც ბ-ნ ჩინართან ურთიერთობა ჰქონია, სამუდამოდ დარჩება დაუვიწყარი მოგონება ამ მომხიბლავ და სიცოცხლით სავსე ადამიანზე. ძნელია იმის დაჯერებაც კი, რომ ესოდენ ნაადრევმა სიკვდილმა საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობართა და ახალი თურქეთის დამოუკიდებლობისათვის თანამიმდევარ მებრძოლთა რიგებს გამოსტაცა ეს მხნე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამობრძმედილი და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე.

ბ-ნი ვასიფ ჩინარი ფრიად ცხოვლად იყო დაინტერესებული საბჭოთა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგით.

მას თვითონ საბჭოთა მოღვაწეებთან საუბრის დროს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი პირველი ჩამოსვლა მოსკოვში დაემთხვა პირველი ხუთწლედის დასაწყისს, ხოლო მეორე ჩამოსვლა — საბჭოთა კავშირის მშენებლობის ფართო განვითარებას მეორე ხუთწლიანი გეგმის ბაზაზე.

იგი დიდად აფასებდა საბჭოთა კავშირის და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობას, მუდამ ხაზს უსვამდა, რომ ეს მეგობრობა წარმოიშვა ჯერ კიდევ ორივე სახელმწიფოსათვის მძიმე წლებში და რომ ახლა ორივე ქვეყანას უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აქვთ უფლება იამაყონ ამ მეგობრობით და შეხაროდენ ორივე ხალხის წარმატებებს.

ბოლო დროს ბ-ნმა ვასიფ ჩინარმა რამდენჯერმე იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონის გასაცნობად. იგი იყო ლენინგრადში, ინახულა ბელორუსიის სსრ-ის დედაქალაქი მინსკი და სულ ამ ცოტა ხნის წინათ, მიმდინარე წლის მაისს, თურქეთის დეპუტატთა და ჟურნალისტთა დელეგაციასთან ერთად დიდი მოგზაურობა ჩაატარა უკრაინაში. მას განზრახვა ჰქონდა ენახა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა რესპუბლიკებიც, რათა უფრო ახლოს გაცნობოდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას და მშენებლობას.

იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც მეგობრულმა თურქეთმა განიცადა, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა თურქეთის მთავრობასთან და თურქეთის ხალხთან ერთად იზიარებს ღრმა მწუხარების გრძნობებს.

ვასიფ ჩინარის ბიოგრაფია

ვასიფ ჩინარი დაიბადა 1896 წელს ქალაქ იზმირში (სმირნა). იგი იყო თურქეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე.

იზმირის ოკუპაციის შემდეგ ვასიფ ჩინარმა მოაწყო პარტიზანული რაზმები ბერძნების წინააღმდეგ და იყო „ოკუპაციის წინააღმდეგ კომიტეტების“ ორგანიზაციის ერთ-ერთი ინიციატორი. იგი შედიოდა თურქი ნაციონალისტების ბალიკესირის კონგრესის პრეზიდიუმში.

1920 წლიდან ვასიფ ჩინარი სცემდა ჯერ ბალიკესირში, ხოლო შემდეგ ფრონტის ზონაში გაზეთ „იზმირე დოღრუს“ („წინ იზმირისაკენ“).

1921 წელს ჩავიდა ანკარაში და დაინიშნა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის კაბინეტის დირექტორად. 1922 წლის გაზაფხულს დაინიშნა სახალხო განათლების სამინისტროს განსაკუთრებული კანცელარიის დირექტორად, ხოლო იზმირის განთავისუფლების შემდეგ იზმირის ვილაიეტის განათლების დირექტორად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თურქეთის სახალხო—რესპუბლიკური პარტიის იზმირის განყოფილების ორგანიზაციაში.

თურქეთის მეორე დიდი ეროვნული კრების მუშაობის დაწყებიდან, სადაც იგი აირჩიეს დეპუტატად სარუხანიდან, ვასიფ ჩინარი იყო განათლების, აგიტაციის და პროპაგანდის კომისიის წევრი.

შემდეგ აირჩიეს თურქეთის დიდი ეროვნულ კრების პრეზიდიუმის მდივნად.

1923 წლის დეკემბერს ვასიფ ჩინარს ნიშნავენ დამოუკიდებლობის სასამართლოს გენერალურ პროკურორად. ეს სასამართლო გაიგზავნა სტამბოლში რეაქციონერების წინააღმდეგ საქმის საწარმოებლად.

ანკარაში დაბრუნების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო რეფორმების ჩატარებაში, კერძოდ ხალიფატის მოსპობასა და ხალიფის გაძევებაში.

1924 წლის მარტს ვასიფ ჩინარი დაინიშნა სახალხო განათლების მინისტრის პოსტზე და იყო სახალხო განათლების დარგში ბევრი რეფორმის ინიციატორი. 1929—31 წლებში ვასიფ ჩინარს ირჩევენ მეჯლისის დეპუტატად ქალაქ იზმირიდან. 1925 წლის მაისს ნიშნავენ ელჩად ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1927 წლის ოქტომბერს გადაჰყავთ ელჩად უნგრეთში. 1928 წელს ვასიფ ჩინარი ინიშნება ელჩად საბჭოთა კავშირში, რის შემდეგ კვლავ ინიშნება თურქეთის განათლების სახალხო მინისტრად.

1932 წლის მაისიდან 1934 წლის აგვისტომდე იგი არის ელჩი იტალიაში.

1934 წლის სექტემბერს კვლავ ჩამოდის მოსკოვში თურქეთის ელჩად საბჭოთა კავშირში.

სამძიმრები

ბ-ნ ვასიფ ჩინარის გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1-ლი აღმოსავლეთის განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. მ. ცუკერმანმა** და ამავე კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. ნ. ბარკოვმა** თურქეთის საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ **ნურედინ ცინარს** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით სამძიმარი გამოუცხადეს.

გუშინ თურქეთის საელჩო ინახულეს და თურქეთის საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ **ნურედინ ცინარს** სამძიმარი გამოუცხადეს. სსრ კ-ის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის სახელით სსრ კ-ის ცაკის თავმჯდომარის სამდივნოს გამგემ ამხ. **მიაგკიმ,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **მ. მ. ლიტვინოვმა,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **ნ. ნ. კრესტინსკიმ.** თურქეთის საელჩო ინახულეს აგრეთვე და სსრ კ-ის თავდაცვის სახალხო კომისარიატის და პირადად ამხ. **კ. ე. ვოროშილოვის** სახელით სამძიმარი გამოუცხადეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწემ ამხ. **ს. ა. მეჟენინოვმა** და თავდაცვის სახალხო კომისართან მყოფმა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა მოხელემ ამხ. **ბ. მ. შტერნმა.**

—:—

მოსკოვი, 2 ივნისი. თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ **ქემალ ათათურქს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ღრმად დამწუხრებული თურქეთის რესპუბლიკის პატივცემული ელჩის ვასიფ ჩინარის უდროოდ გარდაცვალებით, გითვლით თქვენ და თქვენი სახით მთელ თურქეთის ხალხს ჩემს უგულწრფელეს თანაგრძნობას“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა** თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ **ისმეტ ინენიუს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ღრმად დამამწუხარა თურქეთის გამოჩენილი მოღვაწის და ჩვენი პატივცემული მეგობრის თურქეთის რესპუბლიკის ელჩის ვასიფ ჩინარის მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეულმა მძიმე დანაკლისმა, გთხოვთ მიიღოთ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს უგულწრფელესი თანაგრძნობა“.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა ბ-ნ **ისმეტ ინენიუს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„დღეს არის მიღებული სამწუხარო ცნობა ვასიფ ჩინარის უდროოდ გარდაცვალების შესახებ. სამძიმოა იმის ფიქრი, რომ აღარ არის ეს სიცოცხლით სავსე საუცხოო ადამიანი, რომელმაც თავის პასუხსაგებ პოსტზე ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა. მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისია არა მარტო მისი მთავრობისა და ხალხისათვის, არამედ ყველა ჩვენთვისაც, ვინც მას ვიცნობდით. ნება მომეცით გამოგიცხადოთ თქვენ და თქვენი სახით თურქეთის ხალხს და განსვენებულის მახლობლებს ჩემი უგულწრფელესი და ღრმა მწუხარება“.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **მ. მ. ლიტვინოვმა** თურქეთის საგ. საქმეთა მინისტრს **თევფიკ რუშტი არასს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ღრმად ამაღელვა და დამამწუხრა ყველას მიერ პატივცემული ჩვენი მეგობრის და თურქეთის რესპუბლიკის გამოჩენილი მოღვაწის, თურქეთის ელჩის ვასიფ ჩინარის უდროოდ გარდაცვალებამ, გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა ამ მძიმე დანაკლისის გამო, რომელსაც ჩვენ თქვენთან ერთად ფრიად მტკივნეულად განვიცდით“.

დიპლომატიური კორპუსის სამძიმარი

გუშინ თურქეთის საელჩო ინახულეს და თურქეთის ელჩის ბ-ნ ვასიფ ჩინარის გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოთქვეს: დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა — იტალიის ელჩმა ბ-ნმა **ატოლიკომ,** ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბ-ნმა **ბულიტმა,** პოლონეთის ელჩმა ბ-ნმა **ლუკასევიჩმა,** ავღანისტანის ელჩმა ბ-ნმა **აბდულ ჰუსეინ ხან აზიზმა,** ჩინეთის ელჩმა ბ-ნმა **იანმა,** რუმინეთის ელჩმა ბ-ნმა **ჩიუნტუმ,** საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა **პაიარმა,** ირანის საქმეთა რწმუნებულმა ბ-მა **ხაედმა,** საბერძნეთის საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა **სტეფანომ** და ურუგვაის საქმეთა რწმუნებულმა ბ-მა **მანანესმა.**

⁂

ბ-ნ ვასიფ ჩინარის უდროოდ გარდაცვალების გამო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიადსაკავშირო საზოგადოების სახელით თანაგრძნობა გამოთქვა საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. **აროსევმა.**

კამათი ინგლისის თემთა პალატაში

ინგლის-გერმანიის მომავალ საზღვაო მოლაპარაკების გარშემო

ლონდონი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

ხვალ ლონდონში ჩამოვლენ გერმანიის ექსპერტები. ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის. საიმონთან საუბარი დაიწყება 4 ივნისს.

საიმონმა მიიღო ჰიტლერის პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ბრიტანეთის მთავრობამ წამოაყენა ჰიტლერის სიტყვასთან დაკავშირებით. არსებული ცნობებით, გერმანიის მთავრობამ აცნობა აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობას თავისი თვალსაზრისი იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტს ლოკარნოს ხელშეკრულების მიმართ“. (ადს)

ხმები გერმანიის ახალი წინადადების შესახებ იტალიის მიმართ

რომი, 1 ივნისი. ჟურნალისტთა წრეებში ხმა გავრცელდა, გერმანიის ელჩს რომში მუსოლინისთვის თითქოს გადაეცეს ახალი წინადადება ავსტრიის შესახებ. საქმე თითქოს უნდა ეხებოდეს ურთიერთ ვალდებულებას, არ ჩაერიონ ავსტრიის შინაურ საქმეებში 10 წლის განმავლობაში. (ადს).

იტალიის დემონსტრაცია ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ

რომი, 1 ივნისი. პრესის კომენტარიები სამი დივიზიის მობილიზაციასთან დაკავშირებით მოწმობს, რომ ეს მობილიზაცია პირველ ყოვლისა წარმოადგენს დემონსტრაციას ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ იტალია-აბისინიის კონფლიქტის შესახებ და იმ პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისს უკავია ამ საკითხში (ადს).

სემუელი სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 31 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს თემთა პალატაში გრძელდებოდა კამათი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო. ოპოზიციონერ - ლიბერალმა **სემუელმა** მოაგონა პალატას, კამათი დაიწყო ჰიტლერის სიტყვის გამოქვეყნების დღესო, და განაცხადა: დღეს თემთა პალატა ერთგვარად არახელსაყრელ პირობებშია, რადგან დღეს მოვიდა ცნობა საფრანგეთის მთავრობის გადადგომის შესახებ, როცა საფრანგეთის პოზიციას საჰაერო შეიარაღების შეზღუდვის საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვსო.

— უნდა მივესალმოთ, — განაცხადა სემუელმა, — დასავლეთ ევროპის ქვეყნების საჰაერო ძალთა შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დადების ყოველგვარ შესაძლებლობას.

— ჰიტლერმა, — განაგრძო სემუელმა, — გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც განირჩევა გარკვეულობით. დიდად სამწუხაროა, რომ ჰიტლერი კიდევ და კიდევ ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირისადმი მტრულ დამოკიდებულებას. ამ მტრობამ არ შეიძლება მშფოთვა არ გამოიწვიოს მთელს ევროპაში და სანამ ეს მტრობა არ გაქრება, შეუძლებელია დამყარდეს სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა.

— ბევრი ჩვენთაგანის აზრით, — განაცხადა შემდეგ სემუელმა, — შეხედულება, საბჭოთა კავშირი კომუნიზმის ინტერესებისათვის თითქოს საიდუმლოდ ამზადებდეს დიდ აგრესიულ გამოსვლას ევროპის დანარჩენი ნაწილის წინააღმდეგ, ჰალუცინაციაა და რაც უფრო ჩქარა გაქრება ეს ჰალუცინაცია, მით უკეთესია მთელ მსოფლიოსათვის (ტაში).

— მე დარწმუნებული ვარ, — განაცხადა დასასრულ სემუელმა, — რომ დასავლეთ ევროპის დამშვიდებას არ შეიძლება დადებითი და სასარგებლო შედეგები არ მოჰყვეს აღმოსავლეთის პრობლემებისთვის.

სემუელის შემდეგ სიტყვა აიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა საიმონმა (ადს).

იდენის პასუხი კონსერვატორ სენდის ანტისაბჭოთა გამოსვლაზე

ლონდონი, 31 მაისი. თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გამართული კამათის დროს დამოუკიდებელმა ლეიბორისტმა **ვეჯვუდმა** განაცხადა:

— კოლექტიური უშიშროების საკითხს ჩვენ თვალხილულად უნდა მივუდგეთ. ყველა ქვეყანა თანაბრად უნდა იყოს პასუხისმგებელი მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. მე ვფიქრობ, მხოლოდ საბჭოთა კავშირთან, აგრეთვე საფრანგეთთან მტკიცე კავშირის პირობებში გვექნება საკმაო ძალა მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვისო.

კამათის შედეგები შეაჯამა სახელმწიფო ბეჭდის შემნახველმა ლორდმა **იდენმა,** რომელიც, რეიტერის სააგენტოს ცნობით ლაპარაკობდა უაღრესად მტკიცე და დამარწმუნებელი კილოთი. „მისი სიტყვის შემდეგ ოდნავი ეჭვიც კი არავის აქვს, რომ იგი მალე შეცვლის საიმონს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზეო“.

— ჩვენ ვფიქრობთ, — განაცხადა იდენმა,—რომ საჰაერო პაქტი და შეიარაღების შეზღუდვა შეიძლება ერთდროულად განხორციელდეს. ამ ორი პროექტის პროგრესისათვის საჭირო არ არის უცადოთ სამი თებერვლის დეკლარაციაში აღნიშნულ სხვა საკითხების პროგრესსო.

შეეხო რა წინადადებას, რამდენიმე თვით შეჩერებულ იქნას ინგლისის საავიაციო პროგრამის შესრულება იმ იმედით, რომ სხვა ქვეყნებიც ასე მოიქცევიან, იდენმა განაცხადა, მთავრობას არ შეუძლია ასეთი რისკი გასწიოსო.

უპასუხა რა კონსერვატორ სენდის ანტისაბჭოთა და გერმანოფილურ გამოსვლაზე, იდენმა გააკრიტიკა „მისი ძლიერი ანტიპატია ერთი ქვეყნის მიმართ და აღტაცებული სიტყვები მეორე ქვეყნის შესახებ“ „თუ, — განაცხადა იდენმა, — სენდი გერმანიაში ხედავს რასიულ სიწმინდეს, რასაც ერთგვარი სპეციალური ნათესაობა აქვს ჩვენს საკუთარ ნარევ რასასთან (ამ სიტყვებმა დარბაზში ირონიული სიცილი გამოიწვია), ამის გამო მას არა აქვს არავითარი საფუძველი ფიქროს, რომ რამდენადაც საბჭოთა კავშირი სხვანაირად იპყრობა რელიგიის, იგი ამ მიზეზით მტრად უნდა მივიჩნიოთ“. „საგარეო საქმეთა სამინისტროში, — დასძინა იდენმა, — არამეგობრული განცხადებების გამოთქმას რომ უნდებოდენ ამ ქვეყნების მიმართ, რომელთა პოლიტიკა რელიგიის სფეროში არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებებს, საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცილებით იმაზე უფრო მეტად იქნებოდა დატვირთული, ვიდრე ამჟამად“ (ადს).

გერინგის სამხრეთ-სლავიაში ყოფნის გარშემო

ვენა, 1 ივნისი. გერინგის სამხრეთ-სლავიაში (ქალაქ დუბროვნიკში) ყოფნასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს სამხრეთ-სლავიის მთავრობასთან დაახლოვებული გაზეთის „ნოვოსტის“ კომენტარიები ჰიტლერის სიტყვის გარშემო, რომელსაც გაზეთი სასტიკად აკრიტიკებს.

როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, კარგად ინფორმირებულ წრეებში აქვთ ცნობები, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობამ აგრძნობინა გერმანიის ელჩს, რომ გერინგის ჩასვლა ბელგრადში არ არის სასურველი (ადს).

საბჭოთა კავშირის და ირანის მეგობრობა

თეირანი, 30 მაისი. ირანის სავაჭრო - სამრეწველო დელეგაციამ, რომელიც ამასწინათ საბჭოთა კავშირში იყო, დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის და სავაჭრო წარმომადგენლობის პატივსაცემად ბანკეტი გამართა. ბანკეტს დაესწრნენ პრემიერი **ფუროღი,** მთავრობის წევრები და სამეურნეო მოღვაწეები. დელეგაციის თავმჯდომარემ **ამიამმა** და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა **შოსტაკმა** ერთმანეთის სიტყვებით მიმართეს, რომლებშიაც აღნიშნეს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს მისწრაფება ეკონომიური კავშირის გაღრმავებისაკენ.

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციამ ირანის პრესაში გამოაქვეყნა ცნობა. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ მოლაპარაკება, რომელსაც ირანის დელეგაცია აწარმოებდა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან, „ნებას გვაძლევს ღრმად ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ სულ უფრო და უფრო ფართოდ განვითარდება სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის“.

ირანის ყველა გაზეთი ბეჭდავს სტატიებს, საბჭოთა კავშირში ირანის სავაჭრო - სამრეწველო დელეგაციის ყოფნის შედეგების შესახებ კერძოდ, **„ატელაატი“** აღნიშნავს, რომ ის გულთბილი მიღება, რომელიც ირანის დელეგაციას მოუწყვეს საბჭოთა მუშაკებმა, წარმოადგენს ამ ორ ქვეყნის შორის მეგობრობის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს (ადს).

გერმანიის მთავრობის ნოტა

მოსკოვი, 1 ივნისი. გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა ბ. **ფონ-ტვარდოვსკიმ** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცა ნოტა, რომლითაც მოაგონებს: გერმანიის მთავრობამ საბჭოთა კავშირისათვის ა. წ. 20 აპრილს გაგზავნილ ნოტაში, რომელიც შეიცავდა პასუხს ერთა ლიგის 17 აპრილის დადგენილებაზე გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების მე-5 კარის მიხედვით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შესახებ, უფლება დაიტოვა დაეზუსტებინა თავისი პოზიცია ერთა ლიგის ამ დადგენილების ცალკეული პუნქტების შესახებ. როგორც ასეთი დაზუსტება, ბ-ნ ფონ-ტვარდოვსკიმ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცა ამონაწერი გერმანიის რეიხსკანცლერის იმ სიტყვიდან, რომელიც მან ა. წ. 21 მაისს წარმოთქვა და რომლის შინაარსი უკვე ცნობილია გაზეთებიდან (ადს).

„ნიცი-ნიცის“ ახალი ჭორები

ტოკიო, 29 მაისი. „ნიცი-ნიცი“ ბეჭდავს თავისი ციციკარელი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია, თითქოს, საბჭოთა მთავრობამ დაუქვემდებარა არმიის კონტროლს ციმბირის ყველა ფაბრიკა, საბჭოთა მეურნეობები და რესურსები, და რომ, თითქოს, ფაბრიკებში მივლინებული მეთაურები თვალყურს ადევნებენ იარაღის წარმოებას და შენახვას.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გადაცემის მომენტიდან,—ამტკიცებს შემდეგ კორესპონდენტი,—„საბჭოთა ხელისუფლებამ გარე მონღოლეთში შექმნა ცხენოსანი კორპუსი და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გაყიდვით მიღებული სახსრებით აშენებს რკინისგზებს ციმბირსა და გარე მონღოლეთს შუა. კერძოდ გრძელდება ჩიტა-ულან-ბატორის რკინისგზის მშენებლობა, რომელიც უკვე მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო“.

ჩიტას გარნიზონმა, — იუწყება კორესპონდენტი,—„გარე მონღოლეთში მიავლინა 500 წითელი მეთაური და წითელარმიელი, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ბევრი ყოფილი მოსამსახურე და 3.000 მუშა“.

დასასრულ კორესპონდენტი აცხადებს რომ საბჭოთა კავშირი „ახალ რკინისგზას აშენებს აგრეთვე სინძიანში“.

⁂

„პრავდა“, კომენტარიებს უკეთებს რა „ნიცი-ნიცის“ ცნობას, წერს:

„საკმაოდ ცნობილი ციციკარელი ბარონი მიუნხჰაუზენი არასოდეს არ ყოფილა იაპონიაში, არც მანჯოუგოში, მაგრამ ბარონ მიუნხჰაუზენის სტილის უხამსი ტყუილების თაყვანისმცემლები იაპონიაშიაც და მანჯოუგოშიაც ძალიან ბევრია.

ძნელია ღიმილი არ გამოიწვიოს ტოკიოს გაზეთის „ნიცი-ნიცის“ მიერ „ახლად“ შეთხზული ჭორის წაკითხვამ. გაზეთი ხელოვნურად ცდილობს თავისი „ციციკარელი“ კორესპონდენტის უაღრესად უმეცარი სიცრუე გაასაღოს სინამდვილედ. დეპეშის პირველ სტრიქონებშივე „ნიცი-ნიცის“ კორესპონდენტი ამჟღავნებს მთელ თავის პოლიტიკურ სიბეცეს, ამტკიცებს რა, რომ „არმიის კონტროლს დაუქვემდებარეს ციმბირის ყველა ფაბრიკა, საბჭოთა მეურნეობანი და რესურსები“. ჩვენი ბრძოლაში გამოწრთობილი გმირული წითელი არმიის მეთაურები და მეომრები, „ნიცი-ნიცის“ საყურადღებოდ, მუშაობენ თავის პირდაპირ და საპატიო მოვალეობაზე—დაუღალავად და ფხიზლად იცავენ საბჭოთა კავშირის საზღვრების მთლიანობას „ციციკარელი“ კორესპონდენტის მეგობრებისაგან.

აშკარა სისულელედ გაისმის აგრეთვე „ნიცი-ნიცის“ კორესპონდენტის მტკიცება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში წითელი მეთაურების, წითელარმიელების და მუშების მივლინების შესახებ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც შეტანილია იაპონიის „დიდ დაპყრობათა“ გეგმებში, თვალში ეჩხირება ციციკარელ კულინარს და მის მეგობრებს. არცერთი საბჭოთა წითელარმიელი ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არც არის და არც ყოფილა. მთელი ეს ჭორები აიხსნება „ნიცი-ნიცის“ ინსპირატორთა ავადმყოფური ფანტაზიით. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ არავითარ რკინისგზებს საბჭოთა კავშირი არ აშენებს არც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და არც მით უმეტეს სინძიანში? საბჭოთა კავშირი ყელამდე ჩაფლულია მისთვის საჭირო რკინისგზების მშენებლობაში თავის საკუთარ ტერიტორიაზე.

გაზეთ „ნიცი-ნიცის“ ციციკარელი კორესპონდენტის მთელი ცნობა თავიდან ბოლომდე წარმოადგენს უნიჭო და ამავე დროს უაზრო ანტისაბჭოთა ჭორს. „ნიცი-ნიცის“ რედაქცია ამ ცნობის დაბეჭდვის დროს, ალბათ, ემყარებოდა ცნობილ ანდაზას: „ტყუილი ბზე არ არის, ყელში არ გაგეჩხირება“ (ადს).

გერმანია და ლიტვა

კაუნასი (კოვნო), 1 ივნისი. ლიტვის სააგენტოს გადმოცემით, ოფიცერთა კლუბში სიტყვა წარმოსთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოზორაიტისმა, რომელმაც მხარი დაუჭირა უშიშროების კოლექტიურ გარანტიებს. ლოზორაიტისი განსაკუთრებით შეჩერდა ჰიტლერის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელშიაც იგი მოითხოვს ლიტვის გამორიცხვას უშიშროების სისტემიდან და აღნიშნა, რომ ჰიტლერის ყოველგვარი საყვედური ლიტვის მიმართ სრულიადაც არ შეეფერება საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ლოზორაიტისმა მიუთითა იმ სიძნელეებზე, რომლებსაც ლიტვა წააწყდა კლაიპედში იმის გამო რომ გერმანია მუდამ ერევა კლაიპედის საქმეებში, მან განაცხადა, რომ ლიტვა მზად არის დაემორჩილოს კლაიპედის კონვენციის მიერ დაწესებული ორგანოების გადაწყვეტილებას წესდების შესრულებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად. მაგრამ ლიტვას არ შეუძლია იცნოს კანონიერად ეკონომიური და ყოველგვარი სხვა გავლენა, რომელსაც ახდენს დიდი მეზობელი კლაიპედის კონვენციის დაუცველობის საბაბით. ლოზორაიტისმა აღნიშნა, რომ ჰიტლერის მიერ წამოყენებული თეზისები შეიძლება გადაიქცნენ ფართო ბაზად, თუ ეს თეზისები გამოყენებული იქნება ლიტვის მიმართაც, სახელდობრ: მშვიდობიანობის შენარჩუნების პრინციპი, სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობის დაცვა, ყველა ქვეყნის თანასწორობა ხალხთა საზოგადოებაში და, ბოლოს, პროპაგანდის შეწყვეტა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ (ადს).

იაპონიის ულტიმატუმი შიდა მონღოლეთის პოლიტიკურ საბჭოს

შანხაი, 1 ივნისი. („პრავდის“ საკ. კორ.). იაპონიის ხელისუფლებამ მონღოლეთის პოლიტიკურ საბჭოს წარუდგინა ულტიმატუმი. ულტიმატუმი შეიცავს შემდეგ მოთხოვნებს: 1) ნება დართონ გახსნან ბეიზინ-მიაოში, 100 მილის მანძილზე დოლონორის ჩრდილოეთით, კვანტუნის არმიის ბიუროს განყოფილება. 2) შიდა მონღოლეთის დედაქალაქი გადატანილ იქნას ბეიზინ-მიაოში; 3) ნება დართონ მოაწყონ დოლონორში აეროდრომი და რადიო-სადგური.

ბარტევანი.

ბუისონის კაბინეტი

პარიზი, 1 ივნისი ბუისონის მთავრობა, რომელიც დღეს ჩამოყალიბდა, წარმოადგენს ეგრეთწოდებული „ფართო კონცენტრაციის“ მთავრობას. იგი აერთიანებს პალატის ჯგუფთა უმრავლესობას. პარტიული შემადგენლობის მხრივ მთავრობა ძალიან ცოტათი განსხვავდება ფლანდენის კაბინეტისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მასში შევიდნენ სოციალისტი ფროსარი, რომელმაც ამასთან დაკავშირებით დასტოვა სოციალისტური პარტია, და ნეოსოციალისტი ლაფონი, გამორიცხული ამისთვის ნეოსოციალისტების პარტიიდან.

კაბინეტის შედგენას წინ უძღოდა ბუისონის ხანგრძლივი მოლაპარაკება რადიკალ-სოციალისტებთან. ბუისონი მოითხოვდა რადიკალ-სოციალისტების, და განსაკუთრებით ერიოს, მონაწილეობას მთავრობაში, აგრეთვე განცხადებას მათი საკუთარი დამოკიდებულების შესახებ ბუისონის პროგრამასთან. რადიკალ-სოციალისტები თავის მხრით ბუისონისაგან მოითხოვდენ მისი პროგრამის დაზუსტებას. მათ მიაღწიეს მთავრობის მხრივ განცხადებას, რომ საგანგებო რწმუნებები, რომლებსაც ბუისონი მოითხოვს ფრანკის დასაცავად, განსაზღვრული იქნება ვადით 1935 წლის 31 ოქტომბრამდე, ამასთან მთავრობის დეკრეტები დამტკიცებულ უნდა იქნას 1936 წლის მარტამდე, ხოლო მომავალი წლის ბიუჯეტი პალატას უნდა წარედგინოს და მის მიერ მიღებულ იქნას ნორმალური წესით

სოციალისტებმა, რომელთა შეყვანას კაბინეტში ბუისონი ცდილობდა, უარი განაცხადეს ამაზე, რადგან მთავრობაში მონაწილეობას იღებენ მემარჯვენე ჯგუფები.

ნეოსოციალისტებმა გადაწყვიტეს არ შევიდნენ მთავრობაში ამავე მიზეზით.

ამავე დროს პალატის თითქმის ყველა მემარჯვენე პარტიამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს მთავრობას (ადს).

პარიზი, 1 ივნისი. თუმცა ბუისონის კაბინეტი თავისი შემადგენლობით გარეგნულად უფრო მემარცხენეა, ვიდრე ფლანდენის მთავრობა, მაგრამ იგი დაკავშირებულია მემარჯვენე ჯგუფებთან და უმთავრესად შექმნილია მათი მხარდაჭერის მეოხებით. პალატის პირველი ჯგუფი, რომელმაც მოიწონა ბუისონის კანდიდატურა, გადაწყვიტა შევიდეს კაბინეტში და სრული მხარდაჭერა აღუთქვა მას, იყო „რესპუბლიკური ცენტრის“ ჯგუფი, ე. ი. ტარდიეს ჯგუფი. ბუისონის კაბინეტის ფორმულა—ფართო კონცენტრაცია, „ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა შემდეგში ფრანკის დევალვაციის პერსპექტივით“ —წამოაყენა ტარდიეს საჭურველთმტვირთველმა პოლ რეინომ პალატის ტრიბუნიდან ფლანდენის კაბინეტის დაცემის დღეს (ადს).

ცვლილებანი ბუისონის მთავრობაში

პარიზი, 1 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პალმადმა (რადიკალ-სოციალისტი) და რიომ („დემოკრატიული მემარცხენე რადიკალური და რადიკალ-სოციალისტური“ ჯგუფის სენატორი) უარი განაცხადეს ბუისონის მთავრობაში მონაწილეობაზე. ფინანსთა მინისტრის პოსტი გადაეცა კაიოს (რომელიც თავდაპირველად ბუისონის მთავრობაში შევიდა, როგორც უპორტფელო მინისტრი), ხოლო მიწადმოქმედების მინისტრის პოსტი რადიკალ-სოციალისტების დეპუტატს ჟაკიეს (ადს).

„იზვესტია“ ბუისონის კაბინეტის შესახებ

მოსკოვი, 2 ივნისი. „იზვესტია“ სტატიაში ბუისონის კაბინეტის შესახებ აღნიშნავს, რომ საკითხი, რომელმაც გამოიწვია ფლანდენის კაბინეტის დაცემა, სავსებით ძალაში რჩება ახალი კაბინეტის წინაშეც. მიუხედავად იმისა, რომ ახალ კაბინეტში შედიან რადიკალთა ლიდერები ერიო და კაიო და ნეოსოციალისტების წარმომადგენლები, მას არა აქვს უზრუნველყოფილი პარლამენტის ამ ჯგუფების მხარდაჭერა იმ მომენტში, როცა კენჭს უყრიან კანონპროექტს საგანგებო რწმუნებათა შესახებ, რომლებსაც ბუისონი მოითხოვს ისევე, როგორც მისი წინამორბედი ფლანდენი. გარდა ამისა, პალატისაგან საგანგებო რწმუნებათა მიღების შემთხვევაშიაც კი, ამ მთავრობას არ შეუძლია დარწმუნებული იყვეს, რომ, მიმართავს რა მოხელეებისათვის ჯამაგირების დაკლებას და ომის ყოფილ მონაწილეთათვის პენსიების შემცირებას, იგი არ წააწყდება ისეთ ძლიერ წინააღმდეგობას, რომელიც რადიკალებს კვლავ აბრუნებინებს პირს.

მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტის ერთგვარი შემცირებაც კი არ სწყვეტს ფრანკის ბედს. ცნობილი გავლენიანი წრეები არ ხედავენ სხვა გამოსავალს მდგომარეობიდან, თუ არა ფრანკის დევალვაციას, თუმცა არსებულ მომენტში ყველა მსხვილი სამეურნეო გაერთიანება დევალვაციის წინააღმდეგია პოლიტიკური გართულების შიშით, მაგრამ მომავალში, ჯერ ერთი, წააწყდებიან რა სიძნელეებს იმათ მხრით, ვის ხარჯზედაც განზრახულია „მომჭირნეობის რეჟიმის“ გატარება, და მეორე, განიცდიან რა საერთაშორისო ფინანსიური ფაქტორების შემოტევას, ეს წრეები შეიძლება დათანხმდნენ დევალვაციაზე. უკიდურესი მემარჯვენე რეაქციული ორგანიზაციები, ითვალისწინებენ რა ასეთ შესაძლებლობას, უკვე ახლა ცდილობენ, ფრანკის დამცველის სამოსელში გახვეულნი, მიმართონ წვრილ რანტიეს და მოახდინონ ამ მრავალრიცხოვანი ფენის მობილიზაცია თავისი დროშების ქვეშ. ამგვარად იქმნება საფრთხე, რომ ეკონომიური და ფინანსიური სიძნელენი მომავალში გამოიწვევენ პოლიტიკური სიტუაციის ახალ გამწვავებას (ადს).

გერმანიის მემორანდუმი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

პარიზი, 1 ივნისი. „მატენი“ იუწყება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გერმანიისაგან მიიღო მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება შეუთავსებელია ლოკარნოს პაქტის პრინციპებთან და რომ, გარდა ამისა, ეს ხელშეკრულება აძნელებს მოლაპარაკებას ინგლის-საფრანგეთის 3 თებერვლის შეთანხმების გარშემო (ადს).

პარტიულ თემაზე

როგორ ვმუშაობ ახლა

(რაიკომის ინსტრუქტორის წერილი).

ჩემს სამოქმედო ზონაში შედის 10 პირველადი პარტიული ორგანიზაცია და ხუთი ერთეული კომუნისტი.

ზონაში მხოლოდ მესაქონლეობის სოფლები შედიან. აქვეა ცხისჯვრის საბჭოთა მეურნეობის საქონლის საჯიშე ფერმა. ჩემი ზონის სოფლები რაიონის ცენტრს 50 კილომეტრითაა დაშორებული. პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაში ამ სოფლის პარტორგანიზაციები მოკლებული იყვნენ რაიკომის კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას. ახლა მე თვეში მხოლოდ 4 დღე ვარ რაიკომში, დანარჩენ დროს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ვიმყოფები; საქმეებზე რაიკომის მდივანს ყოველდღე ველაპარაკები ტელეფონით.

მე წავიკითხე და ჩემს ზონაში დავამუშავე ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის დადგენილება და „პრავდის" მოწინავე წერილი პარტიულ - ორგანიზაციული და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ისინი მე საფუძვლად დავუდე ჩემს ყოველდღიურ მუშაობას. თუ წინათ ჩემი ზონის პარტიული ორგანიზაციების დღის წესრიგი გადატვირთული იყო სამეურნეო საკითხებით, ახლა მეტი ადგილი უჭირავს პარტიულ საკითხებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ პარტიული კრებების მომზადება - ჩატარებას, პარტიულ სწავლებას, კომკავშირის ხელმძღვანელობას, თანამგრძნობებთან მუშაობას, კომუნისტების აღზრდას და უპარტიო აქტივთან მუშაობას.

ჩემი ზონის პირველად ორგანიზაციებთან შექმნილია სულ თანამგრძნობთა 4 ჯგუფი 13 წევრით. თანამგრძნობებზე მიმაგრებული არიან მომზადებული კომუნისტები. მაგ. ცხისჯვარის საბჭოთა მეურნეობაში თანამგრძნობ პეტრე ელიაძეზე მიმაგრებულია ქ. ივანოვი, რომელიც ასწავლის მას პარტიის წესდებას, ბოთო გვარამაძეზე მიმაგრებულია ს. გელაშვილი და სხვ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ხშირად ისმენს თავის კრებებზე თანამგრძნობებისა და მათზე მიმაგრებული კომუნისტების მოხსენებებს და აძლევს მათ კონკრეტულ მითითებებს.

ორჯერ ჩავატარე ჩემი ზონის თანამგრძნობთა თათბირები. ერთეულ კომუნისტებს უშუალოდ მე ვხელმძღვანელობ, ვაძლევ დავალებებს და შემდეგ ვამოწმებ ადგილებზე. რაიკომის ბიურომ მოისმინა ჩემი ზონის ორი ერთეული კომუნისტის მოხსენება და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

10 მაისს ცხისჯვარის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაცია ატარებდა პარტიულ დღეს. მე პარტიულ ორგანიზაციაში 5 დღით ადრე მივედი. პარტკომის მდივან ამხ. ივანოვს დავეხმარე დღის წესრიგის გამომუშავებაში. 5 დღით ადრე შევარჩიეთ და გამოვყავით მომხსენებლები, გავაკარით განცხადებები და გამოვუშვით კედლის გაზეთი. კრება კარგად ჩატარდა. დაესწრო ყველა კომუნისტი.

ეს გამოცდილება მე გავუზიარე ჩვენი ზონის დანარჩენ პარტორგანიზაციებს.

თვითეულ პარტორგანიზატორს შევაძენინე ბლოკნოტი. ამ ბლოკნოტებში პარტორგები იწერენ კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებებს და ამოწმებენ მათ შესრულებას.

ჩემს ზონაში მეცადინეობს 6 საკანდიდატო და 2 დაწყებითი პარტიული სკოლა. პირველ ხანებში მეცადინეობა სუსტად მიდიოდა. ტაბაწყურის საკანდიდატო სკოლის პროპაგანდისტი რ. სანდაძე უპასუხისმგებლობას იჩენდა, მაგრამ რაიკომის მდივნის გაფრთხილების შემდეგ მოკიდა ხელი მეცადინეობას და ახლა მდგომარეობა გამოსწორდა.

საზაფხულო იალაღებზე საქონლის გასვლასთან დაკავშირებით ჩემი ზონის პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული მუშაობის ცენტრი გადააქვთ მინდვრად.

ლ. შერგელაშვილი.

(საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის ინსტრუქტორი)

□ □ □ □ □ □ □

მათ აინტერესებთ ახალი ამბები

(სიღნაღი, საკ. კორესპონდენტისაგან)

„წითელი ანაგის" კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვეძებთ. კანტორაში მოანგარიშე და რამდენიმე კოლმეურნე შეგვხვდა.

— სად იქნება თავმჯდომარე?.

— მიხო სიყმაშვილი?.... ახლახან აქ იყო — გვიპასუხა მოანგარიშემ. მაგრამ კანტორაში არ აღმოჩნდა. ვიპოვეთ ეზოში. კაკლის ხის ჩრდილში იჯდა, გაეშალა 24 მაისის „კომუნისტი" და დიდი ყურადღებით კითხულობდა მოწინავე წერილს.

— კარგ დროს მოვედით. ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ არის თქვენს კოლმეურნეობაში მოგვარებული პოლიტინფორმაციის საკითხი. კითხულობენ თუ არა კოლმეურნეები ჟურნალ - გაზეთებს, იციან თუ არა, რა კეთდება ჩვენს ქვეყანაში და რა ხდება საზღვარ გარეთ.

— როგორ არა, ვკითხულობთ. უგაზეთოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ. კვირადღეს უმეტესად გაზეთებისა და ჟურნალების კითხვაში ვატარებ, სამუშაო დღეებში კი მხოლოდ საღამოობით ვიცლი ამ საქმისათვის.

— პოლიტინფორმაციებს თუ აწოდებთ კოლმეურნეებს?.

— არა, ხმადაბლა თქვა პარტორგანიზატორმა, რომელიც იქვე დაგვესწრო. გვინდოდა მოგვეწყო ეს საქმე, მაგრამ რაიკომის ინსტრუქტორს ამის შესახებ კრინტი არ დაუძრავს. ჯგუფურ საუბრებსა და გაზეთის ხმამაღლა კითხვას კი ხშირად ვმართავთ ხოლმე.

— მე ძალიან დაინტერესებული ვარ გერმანიის ამბებით, — კვლავ ჩაერია საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— ნეტავ ჩვენი „მაქსიმ გორკი" არ დაღუპულიყო, — შესცვალა საუბრის თემა პარტორგანიზატორმა.

საინტერესო საკითხი ბევრია. თვითეულ მათგანს რაღაცისთვის მოუკრავს ყური, გაუგონია და ვერ გაუგია, უნდა კი დაწვრილებით გაიგოს ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება.

— რა არის ერთა ლიგა?.

— ვინ არიან ფაშისტები?.

— რა არის მეტრო, როგორია, რამოდენაა? ასეთია მათ მიერ გაგონილი, მაგრამ არასაკმაოდ გასაგები ამბები.

ამ კოლმეურნეობის ყველა წევრს გამოწერილი აქვს რაიონული გაზეთი „კოლმეურნე", ხოლო აქტივს— „კომუნისტი", „კოლექტივიზაცია" და „ახალგაზრდა კომუნისტი". პარტორგანიზატორსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გამოწერილი აქვთ ჟურნალები „ბოლშევიკი" და „პარტიული მშენებლობა". გაზეთები დიდი შეფერხებით მისდით. ჟურნალებიდან ამ წლის განმავლობაში მიიღეს მხოლოდ ორი ცალი „ბოლშევიკი".

ანაგის ფოსტა ხშირად უკარგავს მათ გაზეთებს.

— მოგივათ, არ დაგეკარგებათ.. უკეთესია, წლის ბოლოს ერთად მიიღებთ, — ხუმრობით უნდათ გასვლა ფონს ფოსტის მუშაკებს.

ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ კოლმეურნეობის კანტორაში მოსული გაზეთები ზოგჯერ კვირიდან კვირემდე ყრია მაგიდაზე და არავინ ფიქრობს მიაწოდოს ისინი სამუშაოზე გასულ კოლმეურნეებს.

კანტორაში გამვლელ - გამომვლელი აიღებს გაზეთს და თუთუნის გასახვევად მოიხმარს.

ფოსტა გაზეთებს კარგავს. მიღებული გაზეთებიც დროზე არ ურიგდებათ კოლმეურნეებს. პარტორგანიზატორმა კი პოლიტინფორმაციის საქმეს არ მოკიდა ხელი. აქ რაიკომის ინსტრუქტორის სისუსტეცაა მიზეზი. „პრავდის" ფურცლებზე მრავალჯერ დაწერილა, რომ პოლიტიკური ინფორმაცია აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა. იზრდება ინტერესი პოლიტიკური ამბებისადმი, კოლმეურნეს სწყურია ამბების გაგება, მათი ახსნა, ამბებს შორის კავშირის გარკვევა. აგიტატორის ამოცანაა ესაუბროს კოლმეურნეებს „ცხელ-ცხელ" ამბებზე და არ უცადოს მორიგ მოხსენებას.

ალ. გვინჩიძე.

მკითხველის წერილები

ჩვენ გვინდა უკეთესი გაზეთი

ამას წინათ „კომუნისტში" მოთავსებული იყო საგარეჯოს რაიონული გაზეთის მიმოხილვა. გაზეთს კარგად ჰქონია დაყენებული უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის ინფორმაციის გაშუქება.

ასე არ იქცევა ჩვენი რაიონული გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი". ის კარგად არ აშუქებს უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის ინფორმაციას. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი და მშვიდობიანობის მომხრე ქვეყნები შეაშფოთა „მესამე იმპერიის" 16 მარტის კანონმა „საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ". ჰაერში ომის სუნი დატრიალდა. საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან და მთელი რიგი ახალი ნაბიჯები მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, რომელთაც გაფაციცებით ადევნებდნენ და ადევნებენ თვალყურს ყველა ქვეყნის მშრომელები და რამაც მშვიდობიანობისათვის ყველაზე მკვეთრ მებრძოლს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს — სტალინის ქვეყანას — მოუპოვა ახალი გამარჯვებები და სიმპატიები მსოფლიოს მშრომელთა თვალში, — გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში", ვერ პოულობენ საკმაო გაშუქებას.

8 მაისის ნომერში, სრულიად მოულოდნელად, ალბათ უფრო იმისათვის, რომ გაზეთის გვერდი შეევსოთ, „ჭ. მ." ბეჭდავს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ტექსტს. ვინც ცენტრალურ გაზეთებს არ კითხულობს, საფრანგეთსა და საბჭ. კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების „ჭ. მ." მიერ მოთავსებულ ტექსტიდან ვერაფერს გაიგებს, მას დაებადება კითხვა: ასე მოულოდნელად, რამ გამოიწვია ასეთი ფაქტი?

დეპეშები, რომლებიც წინ უძღოდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადებას, გაზეთში არ ქვეყნდებოდა, საერთოდ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქცია სასხვათაშორისოდ ეკიდება საერთაშორისო საკითხების გაშუქებას, მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ გაზეთს არ მოუთავსებია არც მნიშვნელოვანი დეპეშები და არც ტექსტი იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

ნაცვლად მნიშვნელოვანი ინფორმაციებისა, ხშირად გაზეთი ათავსებს წყალწყალა, უმნიშვნელო „შემთხვევებს", ხოლო მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ ჩანს.

№ 25 მაღაროს და შუქრუთის მაღაროს მუშათა კლუბებთან ჩამოყალიბებულია სასულე ორკესტრის წრე. ხოლო „ჭ. მ." ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მუშათა ცენტრალურ კლუბში მიმდინარეობს მოჭადრაკეთა ტურნირი რაიონის პირველობაზე. „ჭ. მ." ამის შესახებაც, არ გვეუბნება რამეს. რაიონში დიდი საგზაო მშენებლობა მიმდინარეობს. ანგრევენ მთებს და საავტომობილო გზებით ისერება ჭიათურა. ამის შესახებ გაზეთს ერთი ქრონიკაც არ მოუთავსებია.

ჩვენმა გაზეთმა „ჭ. მ." თავის ფურცლებზე უნდა გვაცნოს საინტერესო ამბები, რომელიც ხდება საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში. ჩვენ გვინდა, ჩვენი რაიონის ახალი და ცოცხალი ინფორმაციებიც. „ჭ. მ." უნდა დააკმაყოფილოს ჭიათურის მუშების გაზრდილი მოთხოვნილება. ის ამას შესძლებს, თუ მოინდომებს.

პორ. მუმლაძე.

შალვა დადიანი

ვიქტორ ჰიუგო

მეც მაქვს სათქმელი ამ ბუმბერაზზე.

ამ 50 წლის წინად გარდაიცვალა ეს დიდი პოეტი, რომანისტი და დრამატურგი საფრანგეთისა, შემქნელი და სულის ჩამდგმელი ფრანგულ რომანტიულ სკოლისა. მთელმა მსოფლიოს მწერლობამ, პრესამ გაიხსენა ეს დიდი სიტყვის ოსტატი.

მე მის სახელს ბავშობიდან ვიცნობ.

მამა ჩემისგან ხშირად გამიგონია ვიქტორ ჰიუგოს სახელი.

ცოტა რომ წამოვიზარდე ქართულის კითხვა შევძელ, მამას წიგნებში წავაწყდი ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეს" და შიგ, სხვათა შორის, ძველი მწერლის გ. ჩიქოვანის მიერ ნათარგმნი ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი" (ამ სათაურით იყო თარგმნილი ეს განთქმული თხზულება «Miserables») გადავიკითხე.

ო, როგორ გამიტაცა!

და ამიტომ გადავიკითხე კი არა... გადავყლაპე.

მხოლოდ... თარგმანი არ იყო დასრულებული, მგონი მხოლოდ პირველი ნაწილი იყო გადათარგმნილი და უნდა წარმოიდგინოთ ჩემი აღრიალება... რა შეწუხებული ვიყავი!

მამას ვეკითხებოდი, ყველას ვაწუხებდი, ეამბნათ ჩემთვის ჟანვალჟანის შემდეგი თავ-გადასავალი, კოზეტტას ბედი. ესენი ხომ ჩემი საყვარელი გმირები იყვნენ, ამ რომანში ახლო გაცნობილნი.

და აი თითქო თვით ვიქტორ ჰიუგოსაც გაუშინაურდი ბავშობიდან.

ამ ჩემთვის საყვარელ მწერლის ნაწარმოებს, თუ რამეს ჩავიგდებდი ხელში, არ ვტოვებდი რომ აღფრთოვანებით არ გადამეკითხა.

აგერ „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა", „კლოდ გე" ქართულად ნათარგმნი.

შემდეგ რუსულად „ზღვის მუშაკნი" „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", „93- წელიწადი" — ზღვა მხატვრულ სიტყვაობისა, მაღალ-აზროვნებისა, მისი დროის (ბურჟუაზიულ) ჰუმანიზმისა. ყველა ესენი შეფერადებულნი ფილოსოფიურ სიმბოლიზმით, ლირიულ რომანტიზმით, სოციალურ მოვლენათა ახსნით და რეალისტური მიდრეკილებითაც კი.

დამიპყრო ამ კაცმა. დიდხანს ვიყავ მისი ტყვე.

არ მახსოვს ზეპირათ — ეს არც თუ მთლად ჩემი მახსოვრობის ბრალია, მგონი უფრო იმიტომ, რომ უხეიროთ იყო ნათარგმნი ერთი მისი ლექსი მეძავ ქალზე, როცა იგი ამ საცოდავ არსებას ადარებს ტალახში ჩავარდნილ ცვარს, რომელიც მზის სხივზე ალმასივით სპეტაკათ ლაპლაპებს.

ეს შეხედულება ხომ პიესა „მარიონ დელორმ"-ში უფრო ღრმათ აქვს განვითარებული. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დიუმა-შვილის „მარგარიტა გოტიე" არც კი იყო მოფიქრებული.

და აი მის დრამებში ჩვენს სცენაზე მეც შემისრულებია როლები. „ერნანი", „რიუი ბლაზ!"

ამ პიესების შესრულება უყვარდათ ჩვენი თეატრის კოლოსებს: ლადო მესხიშვილსა და კოტე მესხს.

მხოლოდ ამ კაცით მოხიბლული ცოტა უკმაყოფილო ვიყავ მამიჩემისა, როდესაც მამა ზოგჯერ ჰკიცხავდა ვიქტორ ჰიუგოს.

არ გავყევ ამ გაკილვას, თვით მამიჩემისაგან თქმულს, და გულს შევინახე ჰიუგოს სიყვარული.

მან კი რა მაჩუქა სამაგიეროთ ამ შორეულმა, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში თითქო მახლობელმა გიგანტმა?

— დიდი სურვილი, რომ მასავით ლაპიდარულათ მეწერა. შეკუმშული ფრაზა, მეტაფორა ანტიტეზა.

ცხადია, მე კიდევ ვჯახირობ დიდი კაცისაგან გაბრიყვებული, მაგრამ თუ რამ კარგი შესდგამს ჩემს ფრაზას —

გამიმჟღავნებია ამ მონაქცევზე — ეს ამ დიდი მწერლის, საფრანგეთის ჰენიოსის უზარმაზარი გავლენაა.

და აი, საჯაროთ, ტკბილათ ვიგონებ ჩემს სიჭაბუკეს და ამ სიჭაბუკის დიდ კუმირს — ვიქტორ ჰიუგოს!

მარტო დაპირება არ კმარა

ტფილისში ახალი სკოლების მშენებლობა დაგვიანებით დაიწყეს. ეს გარემოება მშენებლობის ხელმძღვანელებს ავალებდა, მაქსიმალურად გაეძლიერებინათ მშენებლობის ტემპი, რომ უზრუნველყოფილიყო პარტიისა და ხელისუფლების ამ მეტად მნიშვნელოვანი დირექტივის ვადაზე და მთლიანად შესრულება.

მაგრამ, როგორც განსახკომში მოწვეულ თათბირზე გამოირკვა, ზოგიერთ სამშენებლო უბანზე საქმე ვერ მიდის რიგიანად. 31 მაისისათვის ვაკეში შენობა მხოლოდ 22 პროცენტით იყო შესრულებული, მელიქიშვილის ქუჩაზე — 17,2 — პროცენტით, ღრმა-ღელეში — 17 პროცენტით, ბაირამოვის ქუჩაზე — 8 პროცენტს ძლივს აღწევდა, ხოლო ლენინის რაიონში ყოფილი საფაბრიკო - საქარხნო სკოლის შენობა, რომლის აგება დიდი ხანია დაიწყო, 56 პროცენტით იყო შესრულებული.

მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ დროზე არ შეუდგენიათ სამუშაო ნახაზები; დღესაც ბაირამოვის ქუჩაზე მშენებლობას ნახაზები არ გააჩნია. მშენებლობა წარმოებს ისე, რომ არ არის დამტკიცებული სატიტულო სია, რის გამოც მოსალოდნელია ბანკმა შეაფერხოს დაფინანსება.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ არც ერთი ობიექტისათვის არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. სასკოლო მშენებლობის ტრესტი (მართველი როსტომიანი) დანაშაულებრივად ჭიანურებს ხარჯთაღრიცხვის შედგენას და სათანადო ორგანოებში მის დამტკიცებას.

არცერთ სამშენებლო უბანს არ გააჩნია მშენებლობის კალენდარული გეგმა, უხეიროდ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია (მშენებლობა პლეხანოვის ქუჩაზე), არ არის მოწესრიგებული ხელფასის საკითხი (მშენებლობა ბაირამოვის ქუჩაზე). არის მთელი რიგი სამუშაოები (ჩარჩოების, საჭირო ხეტყის დამზადება და სხვ.) რომელთა შესრულება შეიძლება წარმოებდეს პარალელურად, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ ხდება.

ცუდი მდგომარეობაა შენობებისათვის კარფანჯრების დამზადების საქმეშიც. ქარხანა „ხის ნაწარმისათვის" აპრილის შუარიცხვებში უნდა მიეცათ სამისოდ სამუშაო ნახაზები, მაგრამ ნახაზების წარდგენა მაისის დამლევს ძლივს მოხერხდა. გარდა ამისა სასკოლო მშენებლობის ტრესტს დღემდის არ დაუდევს ამ ქარხანასთან ხელშეკრულება. ამის გამო ქარხნის ხელმძღვანელობამ არ იცის შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა და პროდუქციის ჩაბარების ვადები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშენებლობის მუშათა კულტურული საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუძლებელია. სასკოლო მშენებლობის დაგვიანებისთვის პასუხს აგებენ უპირველეს ყოვლისა ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილება და სასკოლო მშენებლობის ტრესტი.

შ. ჯიქია

ექიმებს სდევნიან

(გურჯაანი)

გურჯაანის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ ითვლება ექიმი შ. მირიანაშვილი. მას გარშემო შემოკრებილი ყავს თავისი გავლენის ქვეშ მოქცეული ექიმები. იმის ნაცვლად, რომ მოიზიდოს ახალი კადრები, იგი სდევნის მათ. აღვნიშნოთ ფაქტები. მან რაიონიდან განდევნა კომკავშირელი ექიმი გოგნიაშვილი და მის ადგილას დანიშნა ბნელი წარსულის მქონე ხ. მათიაშვილი, რომელსაც სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით წართმეული ჰქონდა მუშაობის უფლება, რამდენიმე ხნის წინათ მირიანაშვილმა აიძულა რაიონიდან წასულიყო ჯანსახკომის მობილიზაციით გურჯაანში გაგზავნილი მეანი-გინეკოლოგი. ახლა ასეთი სპეციალობის ექიმი გურჯაანში არ არის და ქალთა კონსულტაცია უკვე 6 თვეა დაკეტილია. მირიანაშვილს არ მოეწონა აგრეთვე ბავშვთა სნეულების სპეციალისტი ექიმი კანდელაკი. ამის გამო ადგა და... ბავშვთა კონსულტაციაც მიჰკეტა, როგორც „ზედმეტი ბარგი".

მარტო ამით როდი ამოიწურება მირიანაშვილის „საქმენი საგმიროონი", ის თავის თავს გარდა „სწყალობს" თავის „ძმაბიჭებსაც".

მაგალითად, მან მრავალი ბრალდების გამო პარტკომის მიერ მოხსნილ ექიმ გოგორიშვილს სამ თვეს დამზღვევ სალაროს ხარჯზე აძლია ხელფასი და შემდეგ აღადგინა.

ამას წინათ მან ქალთა კონსულტაციასთან გახსნა აბორტარიუმი, რომლის შემოსავალი სად წავიდა, არავინ იცის. აბორტარიუმი მხოლოდ მას შემდეგ დაკეტა, როცა ჯანსახკომიდან საყვედური და გაფრთხილება მოუვიდა. ასეთივე აბორტარიუმები ფაქტიურად ყველა სასოფლო ჯანმრთელობის პუნქტებთან არსებობს. მაგრამ მირიანაშვილი ასეთი უკანონობის მოსასპობად ზომებს არ იღებს.

გურჯაანი საკმაოდ მოწინავე სარაიონო ცენტრია. რაიონის ტერიტორიაც დიდია. მთელ ამ უზარმაზარ რაიონს, მხოლოდ ერთი ძველისძველი და პატარა საავადმყოფო აქვს. ექ. მირიანაშვილი კი, ნაცვლად ჯანდაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და კეთილმოწყობისა, უფრო მეტად დაინტერესებულია კინკლაობით, ახალი კადრების დევნითა და პირადი კეთილდღეობით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ექ. მირიანაშვილს უნდა მოსთხოვოს სათანადო პასუხი.

ექიმთა ჯგუფი.

ქედის რაიონში (აჭარისტანი) ჩამოყალიბდა 6 ახალი კოლმეურნეობა.
სურათზე: ქედის პარტრაიკომის ინსტრუქტორი ამხ. კობიძე ატარებს საუბარს ქედის რაიონის კოლმეურნეებთან საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

1935 წ. ივნის-ივლისში საქართველოს ტერიტორიაზე მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ

1935 წლის ივნისისათვის საქართველოს სსრ-ში მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის საერთო რიცხვის გამორკვევის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო,—„1935 წლის ივნის-ივლისში მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ" გამოცემული, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 17-ის დადგენილების შესაბამისად,—ადგენს:

1. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სოფლად სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის ჩატარების დროს უზრუნველყოს ივნის-ივლისში:

ა) კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეთა მეურნეობებისა, ერთპიროვნული მეურნეობებისა, მუშებისა, მოსამსახურეებისა და სოფლად მცხოვრები სხვა მოსახლეობის მეურნეობების სრული აღრიცხვა იმისდამიუხედავად, იბეგრებიან ისინი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით თუ არა:

შენიშვნა: 1. სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის ჩატარების მხრით მიეკუთვნოს სოფელ-ადგილებს შემდეგი ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები: ბაკურიანი, ქობულეთი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მანგლისი, მცხეთა, ცაგერი, სურამი, წალენჯიხა და შაუმიანი, სადაც საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან ჩაატარონ მეურნეობებისა და ოთხფეხი საქონლის მთლიანი აღრიცხვა დადგენილი ფორმების მიხედვით;

შენიშვნა: 2. საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა დანარჩენ ქალაქებში სწარმოებს საერთო საფუძველზე, ე. ი. ასეთ ქალაქებში საფინანსო ორგანოები აღრიცხავენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით;

ბ) ყველა სახისა და ხნის ოთხფეხი საქონლის სრული აღრიცხვა ყველა იმ მეურნეობაში, რომელიც აღნიშნულია 1-ლი მუხლის „ა" პუნქტში, საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით;

გ) იმ რაიონებში, სადაც სწარმოებს ოთხფეხი საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გარეკვა (თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ტფილისის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ლენინგორის, ხულოს, ქობულეთის, ქედის, მარტვილის და სხვ.) საგადასახადო კომისიების გაგზავნა ოთხფეხი საქონლის სამყოფელი ადგილის მიხედვით. საქონლის აღრიცხვისათვის ამა დადგენილების მე-11 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში დადგენილ საფუძვლებზე, კომისიები უნდა გაიგზავნონ ისეთი ვარაუდით, რომ საქონლის აღრიცხვა საზაფხულო საძოვრებზე (იალაღებზე, და ს. ვ.) ლად წარმოებული ასეთივე მუშაობა დამთავრდეს ერთ და იმავე დროს, რისთვისაც საგადასახადო კომისიები ვალდებული არიან დროით გაემგზავრნენ საზაფხულო საძოვრებზე;

დ) წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლის აღრიცხვა, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთაა (ყუბანი და სხვ.).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს იმავე ვადებში:

ა) ოთხფეხი საქონლის სრული აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობებსა, კოოპმეურნეობებსა, მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობებსა, სავაჭრო და სატრანსპორტო წამოწყებებსა, დამზადებელ და გასასუქებელ პუნქტებსა და „ცეკავშირის" კომბინატებსა და აგრეთვე ყველა დანარჩენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელსაც ყავს პროდუქტიული და მუშა საქონელი სოფლად და ქალაქად;

ბ) კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლისა, ნათესი ფართობების, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში იმ სიის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ; ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მხრივ გათანაბრებულია სოფელ ადგილებთან (1-ლი მუხლის „ა" პუნქტის შენიშვნა), მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ საფინანსო ორგანოები;

გ) მეურნეობებისა და საქონლის მთელი რაოდენობის აღრიცხვა ზემო-სვანეთის რაიონში და აგრეთვე დუშეთის რაიონის ოთხ სასოფლო-საბჭოში (ხევსურეთი) რომლებიც განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო დაბეგვრისაგან.

3. დაევალოს მე-2 მუხლის „ა" პუნქტში ჩამოთვლილ მეურნეობებისა, წამოწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, მათი პირადი პასუხისმგებლობით წარუდგინონ 1935 წ. ივნისის 5 თვის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო, ან საქალაქო ინსპექტორებს ზედმიწევნითი და მათ მიერ პირადად შემოწმებული ცნობები აღნიშნული მეურნეობების კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ 1935 წლის ივნისის 1-სთვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

გარდა ამისა, დაევალოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების დირექტორებს—იმავე ვადაზე წარადგინონ ცნობები საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებისა და მათი კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—ჩაატარონ თავისი საშუალებით საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმებით ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ტერიტორიაზე კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლისა, ნათესი ფართობებისა, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო სამმართველოს ორგანოების მიერ მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის, და გამოჰყონ ამ ორგანოების განკარგულებაში სააღრიცხვო კამპანიისა და აღრიცხვის მასალების დამუშავების დროისათვის ნაცდი და ტექნიკურად მომზადებული მომუშავენი და საჭირო სამეურნეო საშუალებანი (ნატურად და ფულად).

6. მივლინებულ და მიმაგრებულ იქნენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური რწმუნებულები სააღრიცხვო კამპანიის მსვლელობისა და აღრიცხვის შედეგების დამუშავებისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევად.

დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიამაგრონ თვითეულ სასოფლო საბჭოს იმავე მიზნით სპეციალური რწმუნებული.

7. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა მიმაგრება მათი რესპუბლიკებისა და ოლქის რაიონებსა და სასოფლო საბჭოებზე.

8. პერსონალური პასუხისმგებლობა მეურნეობებისა და საქონლის სწორი და სრული აღრიცხვისათვის დაეკისროს: საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს; ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებსა და სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსებს; რაიონებში—სარაიონო საფინანსო განყოფილებების გამგეებსა და სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს.

9. დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—ჩაატარონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა, მდივნებისა და მოანგარიშეებისა, სოფლის საგადასახადო კომისიის წევრებისა, სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის წევრებისა და ფინაქტივისტების ინსტრუქტირება მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ორგანიზაციისა და ჩატარების ტექნიკისათვის.

10. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ არა უგვიანეს 1935 წლის ივნისის 1-სა კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების აღრიცხვის ჟურნალებით (ფ. № 1) და მეურნეობითი დავთრებით (ფ. № 2—ა და 2—ბ) ის სასოფლო საბჭოები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ეს ჟურნალი და დავთარი, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ნოემბრის 20-ის დადგენილებით „1935 წლისთვის სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 63 №-ი მუხ. 454).

თანაც წინადადება მიეცეს ყველა სასოფლო საბჭოს—გაუხსნან აღნიშნულ დავთრებში პირადი ანგარიში ყველა მეურნეობას და შეიტანონ შიგ ყველა საჭირო ცნობა მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

11. საფინანსო ორგანოებისა და სასოფლო-საბჭოების მიერ მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის დადგენილ იქნეს შემდეგი წესი:

ა) კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების განსაზოგადოებული საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ უშუალოდ სარაიონო საფინანსო განყოფილებანი;

ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ სასოფლო საბჭოები სასოფლო საგადასახადო კომისიების დახმარებით, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი; აღრიცხვის სრულად და სისწორით ჩატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) სასოფლო საბჭო პირველ რიგში აწარმოებს მეურნეობათა მთლიან დაკითხვას და დაკითხვის ცნობების შემოწმებას არსებულ მასალებთან (1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მასალებთან, 1935 წლის კულტგამოსახადის მასალებთან, 1935 წლის იანვრის 1-თვის საქონლის აღწერის მასალებთან და სხვ. „ამის შემდეგ, სასოფლო საბჭოს გამოაქვს დაკითხვის ცნობები განსახილველად სოფლის საბჭოს პლენუმზე აქტივთან ერთად, ამოწმებს ასეთი განხილვის დროს გაკეთებულ შენიშვნებს და შეაქვს საჭირო შესწორებანი;

დ) ამის შემდეგ, სარაიონო საფინანსო განყოფილება, სპეციალურ ბრიგადების მეშვეობით, თვითეულ დასახლებულ პუნქტში აწარმოებს გამორჩევითი წესით, აღრიცხვის სისრულისა და სისწორის საკონტროლო შემოწმებას კომლების შემოვლისა და საქონლის ნატურად დათვლით; უკეთუ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობანი, სასოფლო-საბჭო მოახდენს ხელახალ მთლიან აღრიცხვას;

ე) აღრიცხვისა და ყველა შესამოწმებელ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სასოფლო-საბჭო შეადგენს მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების ჯამობრივ სიას და გადასცემს სარაიონო საფინანსო განყოფილებას.

12. დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს—მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის საშედეგო ჯამები, მათ მიერ დამტკიცებული, გადასცენ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს არა უგვიანეს 2 დღისა ჯამლების მიღების დღიდან.

13. დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—სარაიონო საფინანსო განყოფილებისაგან საქონლის აღრიცხვის ჯამლების მიღებისთანავე, ჩაატარონ სპეციალური შემმოწმებელი ბრიგადების მეშვეობით, მეურნეობათა საკონტროლო ჩამოვლა საქონლის ნატურად დათვლით, საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსაგან მიღებულ მითითებათა შესაბამისად. შემმოწმებელი ბრიგადების ხელმძღვანელნი უნდა დანიშნონ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საქალაქო საბჭოებმა სარაიონო და საქალაქო აქტივის შემადგენლობიდან სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორის წარდგენით. ბრიგადის დანარჩენი წევრები შერჩეულ უნდა იქნენ კოლმეურნეობათა აქტივის შემადგენლობიდან და საბჭოთა, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს — უზრუნველყონ საკონტროლო ბრიგადები საჭირო სამიმოსვლო საშუალებით (ნატურად, ან ფულად) მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმების წარმატებით და თავის დროზე ჩასატარებლად.

14. დაწესებულ იქნეს, რომ საკონტროლო შემოწმება უნდა შეეხოს უკლებლივ ყველა კოლმეურნეობას და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობას, კოოპმეურნეობას და მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობას.

კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეებისა, მუშებისა, მოსამსახურეებისა და დანარჩენი მოსახლეობის მეურნეობათა საკონტროლო შემოვლით გარემოცულ უნდა იქნეს მთელი სასოფლო-საბჭო, ან დასახლებული პუნქტი—ისე, რომ თვითეულ რაიონში შემოწმდეს არა ნაკლებ მეურნეობათა საერთო რიცხვის 15 პროცენტისა.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს და 1 მუხლის „გ" პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ საზაფხულო საძოვრების ძირითად მასივებზე საქონლის ნატურად აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმება.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—აღრიცხვის დამთავრებისთანავე, ჩაატარონ მეურნეობათა საკონტროლო შემოვლა საქონლის ნატურად შემოწმებისათვის, რითაც მოცულ უნდა იქნეს არა ნაკლებ სახლმფლობელობათა საერთო რიცხვის 10 პროცენტისა. სახლმფლობელობათა შემოვლას აწარმოებენ შემმოწმებელი ბრიგადები საქალაქო საბჭოს წევრების მეთაურობით.

16. დაწესებულ იქნეს, რომ აღრიცხვის ჩატარება სასოფლო საბჭოებში საკონტროლო შემოვლის (მუხ. 14 და 15) ჩათვლით და სასოფლო საბჭოების ჯამლების შედგენა რაიონების მიხედვით სავსებით უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

კასპის, ბორჯომის, ყვარლის, ლაგოდეხის, ტფილისის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ხონის, ვანის, ბაღდადის, ჩხარის, ხარაგოულის, ტყიბულის, აბაშის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზემო-სვანეთის, ფოთის და ქვემო სვანეთის რაიონებში ივნისის 25-ს.

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, სტალინისის, გორის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, წალკის, დუშეთის, აღბულაღ-მანგლისის, საგარეჯოს, ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, ონის, ენუქიძის, ცაგერის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებში და აფხაზეთის და აჭარისტანის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში. . . . . ივნისის 30-ს.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხ. სამმართველოს შეუდგნენ აღრიცხვის კამპანიას ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მთელი მუშაობის დამთავრება სოფლის საბჭოებში ივლისის 1-სათვის.

17. დაწესებულ იქნეს, რომ სარაიონო საფინანსო განყოფილებები და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები საქონლის აღრიცხვის ჯამებსა და საკონტროლო შემოვლის შედეგებს მოახსენებენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს.

18. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს და აგრეთვე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის რესპუბლიკანური და სარაიონო ჯამები წარადგინონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში შემდეგ ვადებში.

ზემო-სვანეთის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ყარაიას, ყაზბეგის, ხონის, ვანის, ბაღდადის, ჩხარის, ხარაგოულის, ტყიბულის ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ადიგენის რაიონებმა . . . . ივლისის 5-ს.

ახალციხის, ასპინძის, ლუქსემბურგის, ქუთაისის, სამტრედიის, ზესტაფონის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, აბაშის, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ცაგერის, ბორჯომის, ტფილისის, სტალინისის, გორის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, დუშეთის, აღბულაღ-მანგლისის, საგარეჯოს, ჭიათურის, ბორჩალოს, წალკის, ონის და ენუქიძის რაიონებმა და აფხაზეთის და აჭარისტანის ასს რესპუბლიკებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქმა . . . . . ივლისის 10-ს.

19. საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, საქონლის აღრიცხვის წინასწარ ჯამებს წარადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სექტემბრის 1-თვის.

20. დაწესებულ იქნეს, რომ სახელმწიფო აღრიცხვისაგან მეურნეობებისა და საქონლის გადამალვაში დამნაშავე პირნი და აგრეთვე სააღრიცხვო სამუშაოთა ცუდად ჩატარებაში დამნაშავე პირნი, უკეთუ ეს გამოიწვევს მეურნეობებისა და საქონლის არა სრულ აღრიცხვას მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, თანახმად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა „არასწორი სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმებისა და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 84).

21. აიკრძალოს სააღრიცხვო კამპანიის მთელი ვადის განმავლობაში ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოების იმ მომუშავეთა მობილიზაცია, რომელნიც ჩაბმულ იქნებიან მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებაში, სხვა რომელიმე სამეურნეო კამპანიისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ბუდუ მდივანი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე

1935 წ. ივნისის
№ 706

თვითმფრინავი „ივანე მიხეევი"

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ტკაჩევის ბრძანებით, თვითმფრინავ „მაქსიმ გორკის" კატასტროფის დროს უდროოდ დაღუპული დამსახურებული პილოტის ი. ვ. მიხეევის ხსოვნის უკვდავსაყოფად, „მაქსიმ გორკის" სახელობის განსაკუთრებული ნაკრები საავიაციო აგიტესკადრილიის ერთ-ერთ თვითმფრინავს ეწოდა „ივანე მიხეევის" სახელი.

ტფილისს ამარაგებენ შეშით

ტფილისის შეშით მომარაგების საქმის მოწესრიგება წინათ დავალებული აქვს ტფილისის საბჭოს სატყეო ტრესტს, სარეწაო საბჭოს სატყეო მრეწველობის გაერთიანებას და საქმარაგგასაღებას. აპრილისა და მაისის განმავლობაში ტფილისის საბჭოს სატყეო ტრესტმა და სარეწაო საბჭოს სატყეო გაერთიანებამ გადაჭარბებით შეასრულეს ქალაქში შეშის შემოზიდვის გეგმები. მათ შორის პირველმა შეშის შემოზიდვის გეგმა შეასრულა 147, და მეორემ — 155 პროცენტით.

შეშის შემოზიდვას ამჟამად აბრკოლებს ის გარემოება, რომ სამომხმარებლო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დააგვიანეს ხელშეკრულების დადება მათთვის შეშის ისეთი რაოდენობით შემოზიდვაზე, რამდენიც სჭირდებათ. გარდა ამისა შეშის შემოზიდვა შეაფერხა იმანაც, რომ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატს არ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული საქ. მარაგგასაღებასთან ტყიდან რკ. გზის სადგურებზე შეშის მიზიდვის შესახებ.

ბელორუსიის მწერლები ფოთში

ფოთი, (საკ. კორ.). 26 მაისს ფოთში ჩამოვიდა ბელორუსიის მწერალთა დელეგაცია.

დელეგაციამ 27 მაისს ადგილობრივ პ. მგ. მუშაკების თანხლებით დაათვალიერა ქალაქის წარმოებები, ციტრუსოვანი ნარგავები და ნავთსადგური.

28 მაისს დელეგაცია გაემგზავრა კოლხეთმშენის სამუშაოებზე, სადაც დაათვალიერა ჭალადიდის, ნორგას და ყორათის სამუშაო უბნები.

მწერლები განსაკუთრებით დააინტერესა მიწისმთხრელ მანქანა „მენკის" მუშაობამ; ისინი მანქანას დიდხანს და გულმოდგინედ ათვალიერებდნენ.

საღამოს დელეგაცია ესტუმრა ყორათის ტყეში მობინადრე მეჯოგე შელიას კარავს. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. მწერლები დიდად კმაყოფილი დარჩნენ მეჯოგე შელიას გულუხვი მასპინძლობით. რომელიც მაწვნითა და მეგრული „ელარჯით" (ყველში მოზელილი ღომი), გაუმასპინძლდა ძვირფას სტუმრებს.

დელეგაციამ 29 მაისს დაათვალიერა პალიასტომის ტბა და საღამოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ 30 მაისს გაემგზავრა ბათომს.

⁂

გუშინ, 2 ივნისს დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოგზაურობიდან ტფილისში დაბრუნდნენ ბელორუსიელი მწერლები. მათ დაათვალიერეს საწარმოები და კულტურული დაწესებულებები ქ. ჯუღელში, ჭიათურაში, ქუთაისში, ფოთში და ბათომში.

ამ დღეებში ბელორუსიელი მწერლები გაემგზავრებიან აღმოსავლეთ - საქართველოს რაიონებში.

არაბული ხელნაწერების აღმოჩენა

ერევანი. სიძველეთა დაცვის საზოგადოების მეცნიერ თანამშრომლებმა გეი-მეჩეთში (-ეს მეჩეთი ერევანშია, აგებულია 1764 წელს და წარმოადგენს ირანის არქიტექტურის საუცხოვო ნიმუშს), „გადასაყრელ ნივთებში" აღმოაჩინეს 60-ზე მეტი ხელნაწერი არაბულ და ირანულ ენებზე; ხელნაწერები მიეკუთვნება მე-16-19 საუკუნეებს. აღმოჩენილია სამეცნიერო და სალიტერატურო შინაარსის ხელნაწერები, მათ შორის ყურადღებას იპყრობს ჰაფიზის, კელიმის და სხვა პოეტების პოეზია, ნაწყვეტები პოეტ საადის ნაწარმოებიდან „ბოსტან და გიულისტან", სიტყვარი არაბულ და ირანულ ენებზე და სხვ.

ყველაზე საინტერესოა პოემა, დაწერილი ფირდოუსის „შაჰნამეს" მიბაძვით და მისივე რიტმით, მასში აღწერილია თემურლანგისა და ჩინგის-ხანის ლაშქრობანი ამიერ-კავკასიასა და ირანში. ეს პოემა, სპეციალისტების აზრით, ჯერ არსად დაბეჭდილა (ადს).

სასამართლო

ექიმი ქალის ხორომანსკაიას მოტაცების საქმე

დღეს ბათომში დაიწყება ექიმ ხორომანსკაიას მოტაცებისა და გაუპატიურების საქმის გარჩევა საჯარო - საჩვენებელი პროცესით. რამდენიმე ხნის წინ ამ ამბის შესახებ „პრავდაში" მოთავსებული იყო რიკლინის ფელეტონი „ველური ადათი". ამ ფელეტონის საფუძველზე აღიძრა ეს საქმე, რომელიც ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

სასამართლოს შემადგენლობა

საქმეს არჩევს აჭარისტანის უზენაეს სასამართლოს სპეციალური შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. **ბეჟანიძე,** წევრები: ამხ. **გრამიტონ ხვანიძე და თამარ ადამიძე.**

საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოდის აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარი ამხ. **ქათამაძე,** სახელმწიფო ბრალმდებლები არიან: საბჭოთა კავშირის უფროსი თანაშემწე ამხ. **კატანიანი** და საქ. რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე — ამხ. **დევდარიანი.**

ბრალდებულები

ამ უსაზიზღრეს ბოროტმოქმედებაში ბრალი ედებათ: **ჭიჭიკო მინდაძეს,** მეეგმავ - ეკონომისტს უმაღლესი განათლებით; **მიხეილ ცხომელიძეს** — აწჰესის მომარაგების განყოფილების პასუხისმგებელი აღმასრულებელი; დავით მინდაძეს — ჭიჭიკოს ძმას, დურსუნ ხალვაშის — თევზტრესტის თანამშრომელს, მარია კახიანს — ბათომის ქალაქის საბჭოს მოსამსახურეს; შუქრი მაჭუტაძეს სოფელ კარა-დერეს მცხოვრებს, რომელიც წინათ გასამართლებული ყოფილა კონტრაბანდისტობისათვის.

საქმის შინაარსი

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით საქმის შინაარსი ასეთია:

4 აპრილს, საღამოს, ექიმ ხორომანსკაიას ქალთან გამოცხადდა მიხეილ ცხომელიძე და გადასცა მას ნათესავი ქალის კახიანის წერილი; იგი თხოვდა ხორომანსკაიას წაჰყოლოდა ცხომელიძეს მისი მძიმე ავადმყოფი ცოლის გასასინჯად. წერილში ნათქვამი იყო, რომ ხორომანსკაიას მანქანით წაიყვანენ. ხორომანსკაია გაჰყვა ცხომელიძეს, რომელმაც ის წაიყვანა ქალაქგარედ სოფელ კარა-დერეში, მაჭუტაძის სახლში. გზაში ხორომანსკაია ცხომელიძეს ეკითხებოდა რა მდგომარეობაშია მისი ავადმყოფი ცოლი და სად არის მოთავსებული იგი. ცხომელიძე უპასუხებდა, რომ მისი ცოლი ორსულად არის და ამიტომ სუფთა ჰაერზე გაიყვანა ქალაქგარეთ.

მივიდნენ თუ არა მაჭუტაძის სახლთან, ხორომანსკაიამ გაიგონა ცხომელიძის ბრძანება — ექიმი, მომყავს სახლი დაალაგეთო. როცა ოთახში შევიდა — ხორომანსკაიამ იკითხა — სად არის ავადმყოფიო, რაზედაც ცხომელიძემ უპასუხა: ახლავე ოთახს დაალაგებენ და შეგიძლიათ ავადმყოფთანო. ამ დროს ოთახში შემოვიდა ჭიჭიკო მინდაძე. „აი თქვენი ავადმყოფი" — ეუბნება მას ცხომელიძე და სტოვებს ოთახს.

ჭიჭიკო მინდაძეში ხორომანსკაიამ გამოიცნო თავისი ყოფილი ნაცნობი, რომელსაც არა ერთხელ უცდია ცოლად გაყოლაზე, მისგან პირობის მიღება, მაგრამ ყოველთვის უარით გაუსტუმრებიათ.

ხორომანსკაიასთან მარტოდ დარჩენილმა მინდაძემ გადაკეტა კარი, მივარდა ქალთან და შეეცადა მის ძალით გაუპატიურებას. ქალმა მორთო კივილი და ძახილი: „მიშველეთო". ყვირილზე ოთახში შედიან ცხომელიძე, დიასახლისი მეხპულო მაჭუტაძე და დურსუნ ხალვაში. ცხომელიძე ბრძანებს: ქალი უნდა დამორჩილდეს მინდაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხელფეხს შეუკრავენ და მოჰკლავენ. შემდეგ ხორომანსკაიას კვლავ მარტო სტოვებენ მინდაძესთან და გარედან უკეტავენ კარს.

მინდაძემ კვლავ განახლა იერიში ქალზე, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეუკრა მას ხელები და, იარაღით დამუქრების შემდეგ მიაღწია თავის მიზანს.

ამ დროს სახლში ბრუნდება შუქრი მაჭუტაძე, ქალის კივილის გაგონებისას იგი შედის ოთახში, და ნახულობს მტირალ ქალს, რომელიც მას, ემუდარება მიშველეო. მას ქალი გაჰყავს მეორე ოთახში, სადაც იყვნენ მაჭუტაძის და და ცოლი. მათ დააწყნარეს ხორომანსკაია, რომელიც იქ დარჩა დილამდე.

მოწმეების ჩვენებით დადასტურებულია რომ ხორომანსკაია სახლში დაბრუნდა დაგლეჯილ - დაფლეთილ ტანსაცმელში, გასისხლიანებული ხალათით.

ბრალდებულები თავს არ ცნობენ დამნაშავედ. ეს საქმე უდიდეს აღშფოთებას იწვევს მთელს საბჭოთა საზოგადოებრიობაში.

ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{17} მუხლი (ბანდიტიზმი), რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 3 წლიდან ზევით, თვით სოციალისტური დაცვის უმაღლეს ღონისძიება—დახვრეტამდე. (ადს).



რუსეთის მხატვართა გამოფენა—ექსპედიცია ტფილისში

სახვითი ხელოვნების მუშაკთა სრულიად რუსეთის კოოპერატიული კავშირის „ვსეკოხუდოჟნიკის" სამხატვრო გამოფენა — ექსპედიცია ეს ერთი ხანია მოგზაურობს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მოგზაურობას მიზნად აქვს რუს მხატვრების შემოქმედებითი პროდუქციის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება. 4 ივნისს იხსნება მათი გამოფენა ტფილისში, საქართველოს მხატვართა გალერეაში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 130 ცნობილი მხატვრის ნაწარმოები: ფერწერა, გრაფიკა და ნახატი — სულ 250 ექსპონატი. ამ მხატვრებში არიან სომხეთის სახალხო მხატვარი **მ. სარიანი,** რსფსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი: **პ. კონჩელოვსკი, ი. მაშკოვი, პ. კუზნეცოვი, ვ. ფავორსკი, დ. შტერენბერგი, ე. კაცმანი, ი. პავლოვი და ი. გრაბარი;** აკადემიკოსები: **მ. ნესტეროვი, მილუტინი, ა. მორავოვი, ბაკშეევი** და ახალგაზრდა მხატვრები: **ა. ლინტულოვი, ა. კუპრინი, პ. რადიმოვი** (მხატვარ-პოეტი); **იოგანსონი, ბ. შაბელ-ტაბულევიჩი, ვ. სვაროკი** და სხვ.

გამოფენა - ექსპედიციის უფროსია მხატვარი **ბ. შაბელ - ტაბულევიჩი,** რომელსაც განზრახული აქვს დახატოს რამდენიმე სურათი ტფილისის კომუნალური მშენებლობიდან, ბოტანიკური ბაღის რამდენიმე ეტიუდი და ჭიათურის შავი ქვის მაღაროების სამუშაოები.

3 ივნისს გაიმართება გალერეაში გამოფენის საზოგადოებრივი დახურული განხილვა. დასწრება მოსაწვევი ბარათებით; გამოფენა გაიხსნება ივნისს და გასტანს 1 ივლისამდე. გამოფენა ღია იქნება დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

სურათზე: მატარებელი თურქსიბში. ნახატი **ვ. სვაროკისა.**

რა გაკეთდება წელს ტფილისში

მიმდინარე წლის ბოლომდე ტფილისის საქალაქო მეურნეობაში დამთავრდება გასულ წლებსა და მიმდინარე წელს დაწყებული შემდეგი მშენებლობები:

ჩელუსკინელების ხიდი, ახალი სანაპირო ქუჩის კეთილმოწყობა ელბაქიძის ხიდიდან მარქსის ხიდამდე, კალიაევის აღმართის გაფართოება, ახალი აბანოს შენობა ვერაზე, დამთავრდება და ამუშავდება მაკარონის ახალი ფაბრიკა, გაჯის ახალი ქარხანა. დამთავრდება ფიზიო - ტერაპევტიული ინსტიტუტის შენებლობა. უროლოგიური კლინიკისა და ტუბინსტიტუტის ძირითადი კორპუსის აგება და სხვ.

სულ, ტფილისის საქალაქო მეურნეობაში, კაპიტალურ მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 57.484.200 მანეთი.

სამკურნალო ქსელის გაფართოება

ქუთაისი, (საკ. კორ.) წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტი შეუდგა თავის სამკურნალო დაწესებულებათა გაფართოებას და კეთილმოწყობას ამ ჟამად მიმდინარეობს ყოფ. სასტუმრო „ქუთაისის" შენობის რემონტი ამ შენობის ქვედა სართულში მოეწყობა პოლიკლინიკა შემდეგი კაბინეტებით: შინაგანი, ქირურგიული, გინეკოლოგიური ტროპიკულ სნეულებათა, ყელის, ყურის, ცხვირის და ბავშვთა, იმუშავებს აგრეთვე ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

ზედა სართულში გაიხსნება საავადმყოფო 60 საწოლით, ყველა აღნიშნულ სპეციალობის განყოფილებებით.

ამჟამად მოწყობილია ტროპიკულ სნეულებათა კაბინეტები და სტაციონარი 25 საწოლით.

საავადმყოფოში იმუშავებენ უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმები.

ახალი წიგნები

სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: **გ. გოზალიშვილი**—„1832 წლის შეთქმულება", **ი. გვარჯალაძე და ანთაური** — „ფრანგული ენის გრამატიკა". **ალ. წერეთელი**—„ძველი აღმოსავლეთი"—ნაწილი მე-2, **კუშნერი** —„დასავლეთ ევროპის ისტორია" ნაწილი 1-ლი; „როგორ ვისარგებლოთ წიგნით"; **ვ. ჩანტლაძე**—ფინანსები მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში"; **ვ. კოპენი**—„კლიმატოლოგიის საფუძვლები".

□ □ □

ასი წლის მოხუცი უაფლან ჯიგიევი სოფ. ჩესლინდიდან (სამხრეთ-ოსეთი). მოხუცი ჯერ კიდევ მხნედ გრძნობს თავს და მუშაობს კოლმეურნეობაში.

ახალი ქოხ-ლაბორატორიები

აჭარისტანის სუბტროპიკული ზონის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში დაიწყო საინიმუშო ქოხ-ლაბორატორიების მოწყობა. ასეთი ლაბორატორიები უკვე მოეწყო ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ამხ. **ლ. ბერიას და ვოროშილოვის** სახელობის კოლმეურნეობებში.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ქოხლაბორატორიის ერთ ოთახში მოწყობილია **მიჩურინის** კუთხე პლაკატებით, ფოტოსურათებით და ბიბლიოთეკით. იქვეა მაგიდები და სკამები მეცადინეობისა და დამოუკიდებელი კითხვისათვის. მეორე ოთახშია სუბტროპიკულ და ეგზოტიკურ მცენარეთა ჯიშები—თიხის კასრებში ჩარგული; იქვე აწყვია მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, ჩაის, ტუნგოს, ევკალიპტის, გერანის, პალმების და სხვა სუბტროპიკული მცენარეების თესლი, მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლი კუთხე მავნებლების ნიმუშების ჩვენებით და მათი საწინააღმდეგო სხამებით, მინერალური სასუქები და დიაგრამები. ლაბორატორიაში ცდების მოსაწყობად აქვს საჭირო ხელსაწყოები და მიწის ნაკვეთი.

კომკავშირის აჭაროლქკომის ინიციატივით დაწყებულია მუშაობა 1935 წლის დამლევისთვის ბათომის და ქობულეთის რაიონებში 35 ქოხ-ლაბორატორიების მოსაწყობად **(საკ. კორ.).**

სიძველეთა ძეგლების დაცვა

ტფილისში და მის მიდამოებში.

სიძველეთა დაცვის კომიტეტმა, რომელიც ტფილისის საბჭოსთან არსებობს, შეიმუშავა ღონისძიებები ტფილისში და მის მიდამოებში ისტორიული მნიშვნელობის სიძველეთა ძეგლების დასაცავად.

აღრიცხული და შევსებულია სიძველეთა ძეგლების სია. სპეციალურ კომისიას მინდობილი აქვს შეადგინოს გეგმები არსებული ძეგლების დასაცავად. მასვე მინდობილი გამონახოს თანხები ძეგლების დასაცავი სამუშაოებისათვის.

ტფილისის რაიაღმასკომმა აღნიშნული სამუშაოებისათვის უნდა გაიღოს თანხების ნაწილი.

ფიზკულტურა და სპორტი

ტფილისელი ფეხბურთელების გამარჯვება

ტფილისის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მაისის შუა რიცხვებში საგასტროლოდ გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, უკანასკნელად შეჯიბრებები ჩაატარა ტაგანროგში, როსტოვში და ლენინგრადში.

ტაგანროგში ტფილისელებმა მოუგეს ადგილობრივ „დინამოს" 4:1, ხოლო ქალაქის ნაკრებ გუნდს 4:2; როსტოვში ტფილისის გუნდმა დაამარცხა ადგილობრივი „დინამოს" ნაკრები გუნდი 4:2.

ლენინგრადში შეჯიბრებები ჩატარდა 26 და 29 მაისს. ტფილისელებთან თამაშობდა ქალაქის ნაკრები გუნდი. პირველ დღეს თამაში მოიგეს ლენინგრადელებმა 5:3 ხოლო მეორე შეჯიბრება დამთავრდა ტფილისის გუნდის გამარჯვებით 3:0.

ტფილისის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთის საკავშირო პირველობის გათამაშებაში, რომელიც 24 ივნისს იწყება მოსკოვში.

მხარეთმცოდნეები ეხმარებიან მუშათა კლუბს

საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტმა ვოროშილოვის კლუბისათვის შეადგინა გეგმა და თემატიკა ტფილისის მიდამოებში მხარეთმცოდნეობის, ერთდღიანი საზაფხულო ექსკურსიებისა. ამ ექსკურსიებს კლუბი მოაწყობს თავისი წევრებისათვის—კლუბზე მიმაგრებულ საწარმოების მუშებისათვის. მხარეთმცოდნეობის ექსკურსიების ობიექტებია:

მლაშე ტბა—მისი წარმოშობა და კავშირი სამგორის ველის მორწყვის პრობლემასთან;

მცხეთა—როგორც საქართველოს უძველესი დედაქალაქი და მისი ისტორიული ძეგლები;

დიღომი— კოლმეურნეობის ყოფაცხოვრების, შრომის პირობების და საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობის გაცნობა;

ლისის ტბა, კოჯორი და ქოროღლი — რაიონის ფლორა და ფაუნა;

უფლის-ციხე რაიონის გეოლოგიის და ფეოდალური სიმაგრე—ქალაქის გაცნობა.

ორთაჭალა და ბოტანიკური ბაღი —გამწვანების, მცენარეთა კულტურის და ტყის გაშენების ამოცანებთან დაკავშირებით.

ექსკურსიების სამეცნიერო ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საბჭოს წევრები: ზოოლოგი **რუხტომბეკოვი,** ისტორიკოს—არქეოლოგი **მაკალათია,** ენტომოლოგი **ვაშაკიძე,** გეოლოგები **ბუგიანიშვილი,** დ. **წერეთელი** და ბოტანიკოსი **ე. ქიქოძე.**

ექსკურსიების მოწყობა გათვალისწინებულია ივნისსა და ივლისში.

რესპ. თათბირი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ

5 მაისს საღამოს 7 საათზე ტფილისის საბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნება რესპუბლიკური თათბირი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ.

შემთხვევები

# სხვისი სახელით რამდენიმე დღის წინათ, ვინაობის გამოსარკვევად მილიციამ დააპატიმრა მოქალაქე, რომელმაც წარმოადგინა წლიური პასპორტი ბორის ვასილისძე მარკოვის სახელზე, გაცემული ქ. მახარაძეში. ნამდვილად კი დაპატიმრებული აღმოჩნდა არა ბ. ქ. მარკოვი, არამედ ბორის ივანესძე კორეშკოვი, რომელსაც 1933 წელს ტფ. სახ. სასამართლოს მიერ ქურდობისათვის მისჯილი აქვს პატიმრობა 2 ნახევარი წლით და გაქცეულია პატიმრობიდან.

# გაუფრთხილებელი სვლა. მიასნიკოვის ქუჩაზე მე-6 მარშრუტის მიმავალ ვაგონზე შეხტომის დროს, ბორბლების ქვეშ მოჰყვა მცირეწლოვანი ი. მ. ოვანესიანი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

# რუსთაველის პროსპექტზე მე-2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი გ. ი. ფეზილაშვილი, დაეჯახა მოქ. ხოჯამიროვს (გრიბოედოვის ქ. 18 და მძიმედ დაშავდა.

# ვოლოდარსკის ქუჩაზე № 8—69 ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ნ. ი. შმელოვი, დაეჯახა № 1-ლი მარშრუტის ტრამვაის ვაგონს. ავტომობილი ძალზე დაზიანდა. შოფერი მიცემულია პასუხისგებაში.

# გამფლანგველის დაპატიმრება. დააპატიმრეს შოთა ივანესძე ჩიჯავაძე, რომელსაც გაფლანგვისათვის დაეძებდა ბორჩალოს სახ. სასამართლო.

# ხულიგნობისათვის დააპატიმრეს ლ. ი. აფაქიძე, გ. ი. ჯანჯღავა და ა. ვ. არუთინოვი.

ხელოვნება

მოსკოვის სატირის თეატრის გასტროლები

[illegible] ივნისს დაიწყო მოსკოვის სატირის თეატრის გასტროლები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. პირველ და ორ ივნისს დაიდგა მონტაჟი—„მხიარული ფურცლები". დღეს წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ყვავილების გზა". 4 ივნისიდან სატირის თეატრის წარმოდგენები გაიმართება სახ. ოპერაში.

სურათზე: რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ვ. ი. ხენკინი და მსახიობი ქალი კ. ვ. პუგაჩოვა იტალიურ ვოდევილში „ძველი ცოლის ქმარი".

კოიპუს ფერმა ცივწყაროში

ცივწყაროში (აზერბეიჯანი) ა.-კ. რკინისგზის მახლობლად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა დიდი საბჭოთა მეურნეობა—ფერმის მოწყობას სამხრეთ-ამერიკული გარეული მღრღნელი ცხოველის ნუტრიას (კოიპუს) მოსაშენებლად. ფერმაში იქნება 1100 კოიპუ აქედან 600 დედალი და 500 მამალი.

ფერმის მოსაწყობად, სადაც 400 ცალი ვოლიერი უნდა დადგან, გადადებულია 350.000 მანეთი. ფერმის მოწყობა უნდა დამთავრდეს სექტემბრისათვის, რომ იმავე თვის დამლევამდი ვოლიერებში „შეასახლონ" სამხრეთ-ამერიკაში შეძენილი და საბჭოთა კავშირში გამოგზავნილი ცხოველების პირველი პარტია.

ნუტრია კოიპუ,—პატარა ცხოველია და მოგვაგონებს ჩვენებურ წავს, თუმცა ზომით ოდნავ უფრო დიდია. მისი ტყავი განსაკუთრებით ძვირად ფასობს უცხოეთის ბაზარზე. საბჭოთა კავშირში კოიპუს მოშენებას შეუდგნენ 1932 წლიდან. ამ წელს რამდენიმე ათეული კოიპუ გაუშვეს ფოთის და ყარაია-ალსტაფის ჭაობებში, სადაც შესანიშნავად მოშენდნენ და სულ მოკლე ხანში მოგვცეს რამდენიმე ასეული ნამატი.

კოიპუს არ ესაჭიროება სათუთი მოვლა-პატრონობა. იგი იზრდება ერთ წელიწადში და. ამავე ხნის განმავლობაში იძლევა 15—16 სულ ნამატს.

კოიპუს ტყავის ექსპორტი ამიერ-კავკასიიდან დაიწყება 1936 წლის ზაფხულს.

ჯილდო

საგზაო მშენებლობის დამკვრელ ქალს ამხ. გოგოლაძეს

საგზაო მშენებლობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საკავშირო შეჯიბრების ცენტრალურმა ჟიურიმ, რომელიც „იზვესტიას" რედაქციასთან არსებობს, საკერავი მანქანით, 500 მანეთით და სიგელით დააჯილდოვა საგზაო მშენებლობის საუკეთესო დამკვრელი ქალი, დგვარის სასოფლო საბჭოს წევრი 1927 წლიდან, 60 წლის საბედა **გოგოლაძე.** ამხ. გოგოლაძემ, საქართველოში პირველმა მოაწყო საგზაო მშენებლობაში ქალთა შრომითი მონაწილეობა.

პარტკალენდარი

— ორჯონიკიძის რაიონის პარტაქტივის კრება

4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 21), შედგება ორჯონიკიძის რაიონის პარტაქტივის კრება.

დღის წესრიგი: საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შედეგები.

კრებაზე დასასწრებად შესასვლელ ბარათებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას პარტბილეთები.

⁂

სტალინის რაიონის პარტორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა კრება

4 ივნისს საღამოს სრულ 6 საათზე, საზაფხულო კინოთეატრ „დამკვრელში" (ყოფ. პალასი, პლეხანოვის პროსპ. №125), საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი იწვევს რაიონის პარტორგანიზაციის ყველა წევრთა და კანდიდატთა საერთო სარაიონო კრებას.

შესვლა პარტიული ბილეთებით.

სახ. ოპერა 1934-35 წ. სეზ.
სეზონის დახურვა
3 ივნისს
მე-7 აბონ. 17 წარ.
სეზონის დახურვა
დაისი

რუსთაველის თეატრი
რესპ. სახ. არტ. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1934—35 წლ. სეზონი.
ქ. ბაქოში საგასტროლოდ გამგზავრების გამო აბონენტები მეათე წარმოდგენით დაკმაყოფილებული იქნებიან 1935 წ. ოქტომბერში პრემიერა „არსენა"-თი.
5 ივნისამდე უკანასკნელი წარმოდგენები
აბონემენტების გარეშე

3 ივნისი	4 და 5 ივნისი
ანზორ	in tirannos

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდ. დასაწყისი 8½ საათზე.
ნ. 177

მარჯანიშვილის თეატრი

4 ივნისს	აბ. № 4. 8 წარ.	წარ. № 168 განურჩევლად პიროვნებისა
5 ივნისს	აბ. № 14. 8 წარ.	წარ. № 169 განურჩევლად პიროვნებისა

დასაწყისი საღ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მეორე კვირა ხმოვ. კინო—გლეხები
დამკვრელი (საზაფხ. საზამთრო) 6, 7-30 9, 10-30	მხატვრული კომედია ბედნიერი ფინიში
ტემპი (საზამთ.) 7. 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი—ნამუსი
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი 8-45, 10-45	დადგმის მესამე კვირა ხმოვანი კომედია: ცხარე დღეები
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმ. ფილმი უკანასკნელი მასკარადი ავტორ-რეჟისორი მ. ჭიაურელი.
ეთერი (საზაფხ.) 8-45, 10-30	მხატვრული სურათი პარტიზანის ქალიშვილი
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი—მზალო და გელა
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	1 სერია განწირულნი 3 მიუზის მოტივები.

ამიერ-კავკას. ტყავფეხსაცმელმშენის
ფაბრიკა-სკოლა
აგროვებს და ამზადებს კვალიფიციურ მუშებს ფეხსაცმელის ფაბრიკისათვის რომელიც ტფილისში შენდება.
მიიღებიან მამაკაცები და ქალები ხნოვანობით არანაკლებ 17 წლისა.
ხელფასი სწავლის პირველ თვეს დაწესებულია 81 მან.
ყოველთვიურად წარმატების მიხედვით, ხელფასი იზრდება და აღწევს - 100-დან 140 მანეთამდე.
მიღება ყოველდღე დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
მისაღებმა საჭიროა წარმოადგინოს ტფილისში გაწერილი პასპორტი და ცნობა, სად მუშაობდა უკანასკნელად.
მისამართი—ქ ტფილისი, მიასნიკოვის ქ. № 82.
დირექცია.

სასწრაფოდ ვცვლი ბინას ლენინგრადში
ტექნოლოგიურ ინსტიტუტის გვერდზე, 20 კ/მ, ამავე სივრცის (ან მეტ) ოთახზე ტფილისში, ცენტრალურ ქუჩებზე.
იკითხეთ გაზეთ „კომუნისტის" კანტორა.—თხინვალელი. უფ

ექიმი
ვ. ჟ. ოსმეზური
ქირურგიული სნეულებანი
ავადმყ. ღიღება საღ 5—7-მდე. ლენინგრადის № 7გ. 6543 5 ბ

იყიდება სტანდარტული სახლები
სამ ოთახებიანი.
ცნობისათვის მიმართეთ ადგილობრივ მრეწველობის სახკომატს (პუშკინის ქ. № 3, მესამე სართული ოთახი პირველი)—ამხ. ჟაგადარი. 259

დამწუხრებული ქმარი გიორგი კოხრეიძე, და საშა ქმარშვილით, დიდიმოვები. მაზლი სამსონ კოხრეიძე ოჯახობით იუწყებიან
აგაშა ყარამანის ასულ კოხრეიძის
გარდაცვალებას სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე 7 ს. გამოსვენება 5 ს. კრწანისიდან კრწანისის ქ. № 13, ვერის სასაფლაოზე. 8435.

გიორგი და ნუცა ელიაშვილები შვილებით ჯანგირ და თენგოთი დიდი [illegible] ძიმისტარიშვილისა ვაუწყებთ მეგობრებს და ნაცნობებს
აგაშა ელიაშვილი—კოხრეიძის
გარდაცვალებას. დახაფლავება ვერის სასაფლაოზე 4 ივნისს 5 საათზე. გამოსვენება კრწანისიდან.

დამწუხრებული ცოლი ანნა, შვილები: ლევანი, მერი, იულია, სიძეები: ვალოდია კახიძე, მოსე ნოზაძე მწუხარებით იუწყებიან
ირაკლი აქსენტის-ძე ბურგენიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. თერჯოლაში ჩხარის რაიონი. 8432

სამუდამოდ გულმოკლულნი მშობლები, ბაბინე და ანტონ, ძმები ლეონიდე და კოლია, ბებია ეფემი იუწყებიან, რომ 6 ივნისს სოფ. უხხოვში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ნათელა უღენტი—თევზაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 8436

დამწუხრებული ძმები: კოსტა, ვლადიმერი, პართენი რძლები: პელაგია, სონია, მაშო, ძმისშვილი სევერიანი, ბიძები: საჩინო, გლახუა მურუსიძეები იუწყებიან
დიმიტრი ფირანის-ძე მურუსიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 4 ივნისს 5 საათზე ენგელსის ქ. 40. 8438

ვალერიან, ევლიტა, ტარიელ კეკელიძეები, ეკატერინე, ვახტანგი, სიმონიშვილები, ნიკო და ევა რჩეულიშვილები, ნანო, ალიქსი დილმელიშვილები ბავშვებით ვწუხვართ ძვირფას ბიძაშვილის
ვახტანგი დიმიტრის-ძე რჩეულიშვილის
უდროოდ დაკარგვის გამო. 8430

ღრმად დამწუხრებული სიძე ალექსანდრე მოსიავა და შვილი კომოთე ნიკურაძე დასტირიან ძვირფას მამას
იაკობ გაბრიელის-ძე ნიკურაძეს
დასაფლავება ქ. სამტრედიაში 4 ივნისს. 8431

საქზსტრანსის საპროექტო-საგამოკვლევო ბიუროს თანამშრომლები იზიარებენ ამავე ბიუროს ინჟინრის მელენტი ბისიაშვილის ღრმა მწუხარებას მისი დის
ელენე იენაძის
გარდაცვალების გამო. 8433

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, ხამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61. სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—37—04, გამომცემლობის—3—51—81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 9404